პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

შაბათი
6
ივლისი
1935 წ.
№ 156 (4312)

საბჭოთა კონსტიტუციის დღე

პროლეტარიატმა საბჭოთა წყობილებაში ჰპოვა გასაღები ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრისათვის, მან ამ წყობილებაში აღმოაჩინა ნაციონალური თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე მრავალერიანი მტკიცე სახელმწიფოს ორგანიზაციის გზა

ი. სტალინი

საბჭოთა დემოკრატიის მწვერვალებზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ხალხთა ძმურ ოჯახში, ლენინის პარტიისა და დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით შენდება უკლასო სოციალისტური საზოგადოება.

ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასნახევარი ეროვნება მტკიცედ ადგას აყვავებისა და აღმავლობის გზას, სადაც 170 მილიონიანი ხალხი თვითონ მართავს თავის სახელმწიფოს და ანხორციელებს, ამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას.

ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ყველა ეროვნების ხალხთა მილიონებს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს ძმური თანამშრომლობა და მეგობრობა, საკუთარი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება, საბჭოთა პატრიოტიზმის უხილავი ძაფები, რომლითაც ნაქსოვია ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილებისა და ბედნიერების ოქროს ბადე.

და მთელ მსოფლიოში ერთადერთია მისი კონსტიტუციაც, რომელიც ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა მილიონების ინტერესებს, ხალხთა ნამდვილი თანასწორობისა და ნაციონალური რესპუბლიკების აყვავების ინტერესებს. ამხ. სტალინი, ვისკენაც მუდამ მიპყრობილია ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულისთქმა, არის ამ კონსტიტუციის ავტორი, მისი სულის ჩამდგმელი, მის საფუძველზე დიადი სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორი.

იგი, ეს საბჭოთა კონსტიტუცია, დაიბადა პროლეტარიატის დიდ რევოლუციურ საბრძოლო ბრძოლებში ჯერ კიდევ 1918 წელს, როცა გამოქვეყნდა ლენინის ხელით დაწერილი „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია", როცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იარაღით ხელში, სამოქალაქო ომის ფრონტზე იცავდა ძმობის უფლებას და ქვემეხების გრიალით აუწყებდა კაცობრიობას განახლების განთიადს.

შემდეგ, 1923 წელს, ამხ. სტალინის მიერ დაწერილი, იგი იქცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციად, რომელიც მშრომელთა მილიონების ხელში წარმოადგენდა და წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის აღმავლობის, კაპიტალისტური კლასებისა და მათი ნაშთების განადგურების ბასრ იარაღს. სწორედ ამიტომ ამბობდა ამხ. სტალინი 12 წლის წინ, საბჭოების პირველ საკავშირო ყრილობაზე:

„დღევანდელი დღე არ არის მარტო შემაჯამებელი; იგი აგრეთვე არის ახალი რუსეთის ძველ რუსეთზე გამარჯვების დღე, რუსეთზე — ევროპის ჟანდარმზე, რუსეთზე — აზიის ჯალათზე. დღევანდელი დღე არის ახალი რუსეთის ზეიმის დღე, რუსეთის, რომელმაც დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ჯაჭვი, მოაწყო კაპიტალზე გამარჯვება, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, გამოაღვიძა აღმოსავლეთის ხალხები, ამხნევებს დასავლეთის მუშებს, რუსეთის, რომელმაც წითელი ალამი პარტიული დროშიდან აქცია სახელმწიფო დროშად და ამ დროშის ირგვლივ შეკრიბა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები იმისათვის, რომ გააერთიანოს ისინი ერთ სახელმწიფოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, რომელიც მომავალი მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩანასახია".

და ჩვენი ქვეყნის ხალხები დიდი ზეიმით დღესასწაულობენ ამ ბედნიერ ისტორიულ დღეს, საბჭოთა კონსტიტუციის დღეს, რომელიც ამავე დროს მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა, კოლონიალური ქვეყნების ჩაგრულთა და გაყვლეფილთა დღესასწაულია.

ისინი, კაპიტალისტური მსოფლიოს მშრომელთა მილიონები, რომელთაც დაჰკარგეს ყბადაღებული ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი ნაშთებიც კი, გულისფანცქალით და სიყვარულით ოცნებობენ საბჭოების ქვეყანაზე, სადაც პროლეტარულმა კონსტიტუციამ დიდი, სოციალისტური შემოქმედებითი ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანა ადამიანთა მილიონები, სადაც გმირობა იქცა მასობრივ მოვლენად და ტალანტები იზრდებიან ყოფილ მოჯამაგირეთა და შავ მუშათა წრიდან, სადაც ადამიანზე ასე გულისხმიერად ზრუნავს პარტია და საყვარელი სტალინი.

აბა, რა შეუძლია ბურჟუაზიას დაუპირდაპიროს ჩვენს საბჭოთა კონსტიტუციას? გერმანიის ფაშისტები? განა მათ შეუძლიათ ხმა ამოიღონ კონსტიტუციასა და დემოკრატიაზე? მათ, რომლებმაც საშუალო საუკუნეთა ნაგავის ბატონობა და შავბნელი პრუსიული რეაქციის უსაშინელესი თვისებები აღადგინეს, მხეცურად უსწორდებიან ძველ „არაარიელს" და ცეცხლის კოცონს უნთებენ ნამდვილ საკაცობრიო კულტურას? განა შეუძლია გერმანიის დიად მშრომელ ხალხს საკუთარ კონსტიტუციად ჩასთვალოს სახელმწიფო კანონი, რომელიც ნებას რთავს დაანგრიონ ვაგნერისა და ჰაინეს ძეგლები და გაანადგურონ ყოველივე ძვირფასი, რაც საუკუნეთა მანძილზე შეუქმნიათ კაცობრიობის საუკეთესო შვილებს? განა მათ შეუძლიათ საკუთარ სამშობლოდ ჩასთვალონ ქვეყანა, რომელიც მიატოვა მეცნიერებისა და კულტურის ნამდვილმა მოწინავე ასეულმა წარმომადგენელმა იმიტომ, რომ იქ მეცნიერების ნაცვლად უმეცრება და რეზინის ჯოხი, კულტურის ნაცვლად მოიერიშეთა ჩექმის ქუსლები გამეფდა. რასაკვირველია არა და ათასჯერ არა!

ასეა, ან დაახლოებით ასეა, ყველგან, სადაც ბატონობს კაპიტალი.

მაგრამ ასე როდია საბჭოების დიდ ქვეყანაში, სადაც განთავისუფლებულ ადამიანთა მილიონებს საბჭოთა კონსტიტუციამ მოუპოვა დიადი გამარჯვებანი, სადაც ხორციელდება ნამდვილი, პროლეტარული დემოკრატია, მთელი მშრომელი მოსახლეობის უშუალო, აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო მართვა - გამგეობაში.

საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე ჩვენ განვახორციელეთ სოციალისტური მშენებლობა, მოვსპეთ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოვსპეთ კაპიტალისტური კლასები და უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას ვაშენებთ.

ამ დიდმა წარმატებებმა შექმნა საბჭოთა პროლეტარული დემოკრატიის სრული განხორციელების ყველა პირობა. ტყვილად კი არ ლაპარაკობდა ლენინი, როცა თავის ცნობილ შრომაში „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი" სწერდა: **„პროლეტარული დემოკრატია ყოველგვარ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია. საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე უფრო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაზე მილიონჯერ დემოკრატიულია".**

ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიის სწორედ ამ მხრივ განვითარებას წარმოადგენს ცვლილებანი, რომელიც ჩვენს კონსტიტუციაში საბჭოების მე-7 ყრილობამ შეიტანა. ეს ცვლილებანი გამოიხატა საარჩევნო სისტემის შემდგომს დემოკრატიზაციაში: შეიცვალა არასავსებით თანაბარი არჩევნები — თანაბარით, მრავალ-საფეხურიანი — პირდაპირით, ღია-ფარულით, კლასობრივ ძალთა ახლანდელი განწყობილების შესაფერისად დაზუსტდა კონსტიტუციის სოციალურ - ეკონომიური საფუძვლები.

და ამან კიდევ უფრო ალესა მისი მახვილი, უფრო ბასრ, უძლეველ იარაღად აქცია იგი სოციალიზმის მშენებელთა არმიის ხელში.

კლასობრივი მტერი აკრიჭინებს კბილებს ჩვენს წინააღმდეგ. მტრები შიგნიდანაც და გარედანაც ცდილობენ ხელი შეუშალონ, ძირი გამოუთხარონ ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას. ისინი იყენებენ ზოგიერთ „კეთილ ძიას", მიძვრებიან საბჭოთა აპარატში და ზოგჯერ იხერხებენ ზიანის მოტანასაც. ესენი არ უნდა დავინდოთ. საჭიროა ერთიანად გავაძლიეროთ კლასობრივი სიფხიზლე, უფრო მკვეთრად ავლესოთ საბჭოთა რევოლუციური კანონიერების მახვილი, მთელი სისრულით გამოვიყენოთ საბჭოთა კონსტიტუცია სოციალიზმის შემდგომ გამარჯვებათა მოსაპოვებლად, სოციალიზმზე ადამიანთა მილიონების მშვენიერი ოცნების ხორცშესასხმელად მთელ მსოფლიოში.

სსრ კავშირის ცაკის დადგენილებანი

№ რაზმის მეთაურის, კომკავშირელ მფრინავის ამხ. ვ. ე. დაცკოს სსრ კავშირის ცაკის სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

დაჯილდოებულ იქნას სსრ კავშირის ცაკის სიგელით № რაზმის მეთაური, კომკავშირელი მფრინავი — ამხ. ვლადიმერ ევგენისძე დაცკო, რომელმაც უნარიანად და წარმატებით მოამზადა და განახორციელა დიდ სიმაღლეზე გაფრენები პარაშუტებით სარეკორდო გადმოხტომისათვის.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი
3 ივლისი 1935 წ.

ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის კომკავშირელ პარაშუტისტის ამხ. თამარა კუტალოვას წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით საკ. ალკკ წევრი, ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. თამარა ალექსანდრეს ასული **კუტალოვა** 7.750 მეტრის სიმაღლიდან მჟავბადის უხელსაწყოდ პარაშუტით მსოფლიო სარეკორდო გადმოხტომის დროს გამოჩენილი სიმამაცისა და სიმტკიცისათვის.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. აკულოვი

მოსკოვი, კრემლი
3 ივლისი 1935 წ.

რუმინეთი პოლონეთის წინააღმდეგ

ვენა, 4 ივლისი. ბერლინში ბეკის გამგზავრებამ რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი შეშფოთება და უკმაყოფილება გამოიწვია. ამ მხრივ დამახასიათებელია ბეკის გამგზავრების წინ რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანო **„ენდეპანდანს რუმენში"** გამოქვეყნებული სტატია, რომელშიაც ნათქვამია:

„პოლონეთი ივიწყებს წარსულს და განაგრძობს შედეგების მხრით მეტად საშიშ თამაშს. იმ დროს, როცა ტიტულესკუ ლონდონში მოლაპარაკებას აწარმოებს ევროპის მშვიდობიანობის საუკეთესოდ უზრუნველყოფის მიზნით, ბეკის დარბაზობა ბერლინში საფრთხეში აგდებს არა მარტო პოლონეთის წინანდელ მოკავშირეთა ინტერესებს, არამედ თვით პოლონეთსაც. პოლონეთი ვერაფერს მოიგებს ჰიტლერთან არშიყობით, პირიქით, ბევრ რამეს დაჰკარგავს. ბეკის მუხლმოდრეკა ბერლინში ოდნავადაც ვერ შეასუსტებს გერმანიის პრეტენზიებს დანციგზე, პოლონეთის კორიდორსა და აღმოსავლეთ სილეზიაზე. ბერლინში ბეკის ჩასვლით მოიგებს მხოლოდ ჰიტლერი, რომელიც პოლონეთის დახმარებით ისარგებლებს იმისთვის, რომ მიიღოს მოქმედების თავისუფლება აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც იგი შესძლებს განაგრძოს საყოველთაო მშვიდობიანობის წინააღმდეგ მიმართული გეგმების განხორციელება. ამიტომ პოლონეთსაც საკმაო პასუხისმგებლობა ეკისრება იმ საფრთხისათვის, რომელიც ევროპის მშვიდობიანობას მოელის" (ადს).

ერიოს სიტყვა რადიკალ-სოციალისტური პარტიის აღმასკომის სხდომაზე

პარიზი, 4 ივლისი. რადიკალ-სოციალისტური პარტიის აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე ერიოს წარმოთქმული სიტყვისა და ამ სიტყვის გარშემო გამართული კამათის ძირითად ტონს არ ჰქონდა მტრული ხასიათი ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის მიმართ. ორატორთა მთავარმა მასამ მხარი დაუჭირა რადიკალების მონაწილეობას 14 ივლისის ანტიფაშისტურ დემონსტრაციაში.

ერიომ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც ხაზი გაუსვა თავის ერთგულებას რესპუბლიკის დაწესებულებებისადმი და იმას, რომ საჭიროა დემოკრატიული წყობილების დაცვა. მან მკაცრად გაილაშქრა ფაშისტური ორგანიზაციების შეიარაღებისა და იმ ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია სამოქალაქო ომის გაჩაღება საფრანგეთში, მან გაილაშქრა აგრეთვე სამხედრო წესით აგებული რაზმების შექმნის წინააღმდეგ. კერძოდ, ერიომ მხარი დაუჭირა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ დემონსტრაციას, რომელიც დანიშნულია 14 ივლისისათვის.

„ამავე დროს, — განაცხადა **ერიომ,** — მე დაჟინებით მოვითხოვ, რომ რესპუბლიკის დასაცავად ძალთა ამ გაერთიანებაში რადიკალ სოციალისტურმა პარტიამ შეინარჩუნოს თავისი სახე. როგორც ჩვენგან მარცხნივ, ისე ჩვენგან მარჯვნივ არ გამოვრიცხავთ არავის, ვისაც სურს გამოვიდეს რესპუბლიკის დასაცავად. პირადად მე კი მსურს „ვიბრძოლო რესპუბლიკისათვის, მაგრამ მისი სამფეროვანი დროშის ქვეშ" (ადს).

რეზოლუცია ერიოს მოხსენების გამო

პარიზი, 4 ივლისი. ერიოს სიტყვის შემდეგ რადიკალ - სოციალისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც აღმასრულებელი კომიტეტი ერთხმად იწონებს თავისი თავმჯდომარის ერიოს დეკლარაციას.

მკაცრი სიტყვით გამოვიდა ედუარდ პფეიფერი, რომელიც ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ რადიკალებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ შეკრან ბლოკი კომუნისტებთან. მან შემოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ რადიკალური პარტიის „დამოკიდებულება როგორც ფაშიზმთან, ისე კომუნიზმთან თანაბრად უარყოფილია". მას რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა მტრული შეძახილით.

დანარჩენი ორატორები მხარს უჭერდნენ კომუნისტებთან და სოციალისტებთან თანამშრომლობას.

პოლონეთი კვლავ ილაშქრებს აღმოსავლეთის პაქტის წინააღმდეგ

ლონდონი, 4 ივლისი. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბეკის გამგზავრება ბერლინში კვლავ იპყრობს ინგლისის პრესის ყურადღებას. **„დეილი ტელეგრაფის"** სიტყვით ბეკი და ჰიტლერი გუშინდელ საუბარში შეეხნენ „ევროპის პრობლემათა მთელ კომპლექსს". ბეკმა ჰიტლერს განუცხადა, პოლონეთი კვლავ წინააღმდეგია აღმოსავლეთის პაქტისა". „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, — განაგრძობს გაზეთი, — განხილულ იქნა ყოველმხრივ". საუბრის დროს შეეხნენ აგრეთვე იმ საკითხს, რომ ინგლის - გერმანიის შეთანხმების შედეგად. პოლონეთს სურს გაადიდოს თავისი საზღვაო ფლოტი. როგორც **„ტაიმსი"** სწერს, არის შესაძლებლობა, რომ ჰიტლერი წამოაყენებს რაიმე წინადადებას, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებათა „საწინააღმდეგო" რამ.

კომუნიკე პოლონეთ გერმანიის მოლაპარაკების შესახებ

ბერლინი, 4 ივლისი. ბერლინში ბეკის ყოფნისა და მისი საუბრების შესახებ დღეს საღამოს გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე:

„ორი დღის ბერლინში ყოფნამ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. ბეკს საშუალება მისცა საფუძვლიანი საუბარი ჰქონოდა ჰიტლერთან და გერმანიის მთავრობასთან. ამ საუბრის დროს, რომელიც გულახდილი ტონით მიმდინარეობდა, განხილულ იქნა ის საკითხები, რომლებიც სპეციალურად ეინტერესებათ გერმანიას და პოლონეთს, აგრეთვე ევროპის საერთო პოლიტიკის პრობლემები. გამოირკვა შეხედულებათა საკმაოდ სრული მთლიანობა.

კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ გერმანია - პოლონეთის 1934 წლის 26 იანვრის დეკლარაცია სავსებით მიზანშეწონილი გამოდგა არა მარტო ორივე ქვეყნის ურთიერთობაში, არამედ როგორც ევროპის მშვიდობიანობის უზრუნველყოფის კონსტრუქტიული ელემენტიც. ბ-მა ბეკმა ამასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ჰიტლერის განცხადებამ 21 მაისის სიტყვაში პოლონეთის შესახებ, განსაკუთრებით მისმა გამოთქმულმა სურვილმა გერმანია-პოლონეთის შეთანხმების ხანგრძლივობის შესახებ, ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა პოლონეთში და რომ პოლონეთსაც თავის მხრივ გულწრფელად სურს უფრო მეტად გააღრმავოს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა გერმანიასთან. რაკი გერმანიისა და პოლონეთის ხალხები ერთმანეთის მეზობლებია, ორივე მთავრობას მომავალშიაც ექნებათ მჭიდრო კონტაქტი და მთელ თავის ძალღონეს მოახმარებენ ევროპის მშვიდობიანობის საქმეს".

პოლონეთის მხრით დამატებით აღნიშნავენ, რომ დანციგის საკითხი სრულიად არ ყოფილა განხილული, რამდენადაც ეს საკითხი პოლონეთს მიაჩნია პოლონეთ - დანციგის საკითხად და არა პოლონეთ - გერმანიის ურთიერთობის საკითხად (ადს).

იაპონიის ახალი ულტიმატუმი ჩრდილოეთ ჩინეთს

შანხაი, 4 ივლისი. გაზეთ **„ჩაინა პრესის"** გადმოცემით, კვანტუნის არმიის სარდლობამ ჩრდილოეთ ჩინეთის ხელისუფლებას წარუდგინა ახალი ულტიმატუმი — 10 ივლისამდე გაიყვანოს პროვინციის ფარგლებიდან სუ ჯე-იუანის მთელი ჯარი, რომელიც დაბანაკებულია ჩახარში. თუ ეს მოთხოვნა შესრულებული არ იქნება, იგი გადამწყვეტი ზომების მიღებას იმუქრება (ადს).

საბჭოთა კავშირში

თათბირი სასოფლო საბჭოებში ფინანსიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის

მოსკოვი, 4 ივლისი. 3 და 4 ივლისს სსრ კავშირის ცაკის სხდომის დარბაზში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ი. ჩუბარის თავმჯდომარეობით გაიმართა საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს დავალებით მოწვეული თათბირი სასოფლო საბჭოების, ფინანსური მუშაობის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო საგანაკვეთო დაზღვევის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობების, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებმა, სასოფლო საბჭოების მდივნებმა და მოანგარიშეებმა, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებმა, რაიფინგანყოფილებათა გამგეებმა, რაიონული დაზღვევის ინსპექტორებმა, საოლქო ფინგანების და სახდაზღვევის საოლქო სამმართველოების გამგეებმა, აგრეთვე საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებმა.

სხდომა გაიხსნა ამხ. ვ. ი. ჩუბარის შესავალი სიტყვით. ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. გ. ფ. გრინკო მოხსენებით გამოვიდა სასოფლო საბჭოების ფინანსური მუშაობის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

მოხსენებათა გარშემო გაჩაღდა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც გააკრიტიკეს სასოფლო საბჭოების აღმასკომების ფინანსური და სადაზღვევო მუშაობა, აგრეთვე საფინანსო ორგანოების მუშაობის დეფექტები. გამოსულმა ამხანაგებმა შემოიტანეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

4 ივლისის დილის სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ მ. ი. კალინინი, რომლებსაც თათბირის მონაწილენი ოვაციით შეხვდნენ.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და მ. ი. კალინინმა თავის გამოსვლებში მთელი რიგი მითითებანი მისცეს ფინანსური, განსაკუთრებით სადაზღვევო და საგადასახადო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოფლად (ადს).

ცირკულიარი ბინებში ჩადენილი ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

მოსკოვი, 4 ივლისი. რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარმა ამხ. კომაროვმა და იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. კრილენკომ ხელი მოაწერეს სპეციალურ ცირკულიარს ბინებში ჩადენილ ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. საბინაო - საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს, მუშათა საბინაო - საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს, სახლთა სამეურნეო სამეთვალყურეო კომისიებს და ხელშემწყობ საბჭოებს წინადადება მიეცათ გამოჰყონ ერთი ან რამდენიმე წევრი, რომლებიც ალაგობრივ შეადგენენ აქტებს ბინებში ჩადენილი ხულიგნობის წინააღმდეგ. სახლების მმართველობებს წინადადება მიეცათ მობინადრეთა საჩივრები დაუყოვნებლივ გადასცენ საამხანაგო ან სახალხო სასამართლოებს, რომლებმაც ეს საჩივრები უნდა გაარჩიონ არა უგვიანეს 5 დღის ვადისა.

სახალხო სასამართლოები ვალდებული არიან 5 დღის განმავლობაში განიხილონ სარჩელი ისეთ მობინადრეთა გასახლების შესახებ, რომლებიც ჰქმნიან ერთ სახლში ცხოვრების შეუძლებელ პირობებს.

ცირკულარში განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ საჭიროა იმ მობინადრეთა მიცემა პასუხისგებაში, რომლებიც სარგებლობენ რა თავისი სამსახურებრივი ან პარტიული მდგომარეობით, შეურაცხყოფას აყენებენ მეზობლებს და ჰქმნიან შეუ[illegible]

განსაკუთრებული დანიშნულების [illegible]

ამხ. კოსარევის გამოსვლა ქალთა ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ მოწვეულ საკავშირო თათბირზე

მოსკოვი, 4 ივლისი. 4 ივლისს, სამი დღის მუშაობის შემდეგ, დაიხურა ქალთა ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხზე მოწვეული საკავშირო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა. 100 ჩაწერილი ორატორიდან კომკავშირელ ქალთა შორის მუშაობის შესახებ ამხ. ვასილიევას და ხარიევას მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 58 ორატორი. ყველა გამოსული ორატორი ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ კომკავშირში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ორგანიზაციის მუშაობაში ახალგაზრდა ქალის როლის შეუფასებლობა. კომკავშირელი ქალის ასეთ შეუფასებლობას ჩვენ ვხვდებით წარმოებაშიაც.

დილის სხდომის დასასრულს გამოვიდა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კოსარევი, რომელმაც შეაჯამა თათბირის მუშაობის შედეგები.

— კომკავშირელი ქალის როლის შეუფასებლობაში, — განაცხადა ამხ. კოსარევმა, — მარტო ლენინური კომკავშირის მამაკაცთა ნაწილი კი არ არის დამნაშავე, არამედ თვით ქალებიც. ისინი არ იყენებენ იმ შესაძლებლობას, რომელიც მათ ეძლევათ.

— ქალთა ახალგაზრდობის აღზრდა, — განაცხადა ამხ. კოსარევმა, — მთელი ლენინური კომკავშირის საქმეა. ამხ. კოსარევმა მკაცრად გააკრიტიკა ლენინგრადის ერთი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მუშაობა. ამ კომიტეტმა სწორად ვერ გაიგო საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება გარდაქმნის შესახებ. იმის ნაცვლად, რომ გაშალონ ქალთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა და მუშაობა მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, კომკავშირელებმა ხელი მოჰკიდეს საყოფაცხოვრებო საკითხებს, შექმნეს აბორტის წინააღმდეგ შებრძოლი სექცია და სხვ.

დასასრულ ამხ. კოსარევი შეჩერდა ქალთა ახალგაზრდობასთან მუშაობაზე სოფლად და ნაციონალურ რესპუბლიკებში.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ განხორციელებულ იქნას ამხანაგ სტალინის მითითებანი და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დირექტივები ქალთა ახალგაზრდობაში მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

მქუხარე ტაშით შეხვდა თათბირი წინადადებას, რომ მისალმება გაეგზავნოს კომკავშირის ყველაზე უფრო ახლობელ მეგობარს — ამხანაგ სტალინს (ადს).

მისალმება ამხანაგ სტალინს

ჩვენო ყველაზე ახლობელო მეგობარო, ჩვენო დიდო ბელადო — ამხანაგო **სტალინ** — მიიღეთ მხურვალე სალამი ჩვენგან — ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის საკავშირო თათბირის მონაწილე ქალიშვილებისაგან.

თქვენა ხართ ინიციატორი მუშაობის დიდი გარდაქმნისა, რომელსაც ამჟამად კომკავშირი ახორციელებს. ამ გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდა ქალთა შორის.

პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ,** რომ ვიქნებით ჩვენი სამშობლოს ერთგული, კულტურული, მამაცი ქალები.

პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ,** რომ შევასრულებთ თქვენს მითითებებს ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ.

გაუმარჯოს ჩვენს მეგობარს და ბელადს — ამხანაგ **სტალინს!**
გაუმარჯოს ჩვენს პარტიას! (ადს).

რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა გამოშვება

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის გამოსვლა

მოსკოვი, 5 ივლისი. 3 ივლისს კუხმისტეროვის სახელობის კლუბში შესდგა საზეიმო კრება, მიძღვნილი ტრანსპორტის ინჟინერთა გამოშვებისადმი.

მარტო სტალინის ინსტიტუტმა მიმდინარე წელს გამოუშვა 854 ინჟინერი, რომელთაგან მესამედმა სადიპლომო შრომა ჩააბარა „ფრიადზე" და თითქმის ნახევარმა „კარგზე". ამ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შორის 500-ზე მეტი მუშა და კოლმეურნეა, რომელნიც სწავლამდე დიდხანს მუშაობდენ წარმოებაში, და 114 ქალია — ციფრი, რომელსაც საზეიმო კრებაზე ბევრი გამოსულთაგანი სიამაყით აღნიშნავდა.

ოვაციით შეხვდა კრება წინადადებას, რომლის თანახმად საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით და ამხ. ტელმანი.

კრებამ მოისმინა ორი მოხსენება: სტალინის სახელობის ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ლაზარევისა და ტრანსპორტის ინჟინერთა ელექტრომექანიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ამხ. ისტრეჟემსკისა.

ორივე მომხსენებელმა აღნიშნა თავიანთი ინსტიტუტების მიღწევები და ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ ამ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებშიაც იყო ის არევ-დარევა, რომელიც სუფევდა ტრანსპორტის ვაი-თეორეტიკოსთა თავში და რომელიც გამოძლავნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გზათა სახალხო კომისარიატში მოვიდა კაგანოვიჩი.

პროფესორების ობრაზცოვის, პროკოფიევის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. ხუდაკოვის, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სკოლების განყოფილების გამგის ამხ. ვოლინის გამოსვლის შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსმა ამხ. ზიმინმა, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა დეფექტები სასწავლო საქმის დაყენებაში ტრანსპორტზე.

ამ სიტყვის დასასრულს დარბაზში გამოჩნდა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი. მის გამოჩენას კრება მქუხარე ტაშით და ოვაციით შეხვდა.

ტრანსპორტის სახალხო კომისარს მიესალმა კურსდამთავრებული ფრიადოსანი ამხ. შეპელევი.

ყოფილი ზეინკალი, ყოფილი პარტიზანი შეპელევი რევოლუციამდე წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახლა კი მან დაამთავრა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, ხდება ტრანსპორტის მეთაური და მრავალ ათას სხვა ამხანაგთან ერთად იმუშავებს იმისთვის, რომ ეს ტრანსპორტი უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანოს.

— ის გარემოება, რომ ჩვენ სადიპლომო შრომები „ფრიადზე" ჩავაბარეთ არ შეიძლება რაღაც დამსახურებად ჩაითვალოს — ამთავრებს თავის სიტყვას ინჟინერი — პროლეტარი — ჩვენ „ფრიადზე" უნდა დავიცვათ აგრეთვე ის მუშაობა, რომელიც ამიერიდან პარტიამ და ჩვენმა ქვეყანამ გვანდო.

ამ დაპირებას კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით ადასტურებენ.

დაძაბული ყურადღებით მოისმინა ორი ათასმა ახალგაზრდა ინჟინერმა და სტუდენტმა თავისი სახალხო კომისრის ამხ. კაგანოვიჩის სიტყვა, რომელიც 2 საათს გაგრძელდა. სიტყვას თავისი მოსწრებული დახასიათებებით, მაგალითებით და შეფასებებით ხშირად აწყვეტინებდენ ხან მქუხარი ტაშით ხან ახალგაზრდული სიცილით, ხან გაცხოველებული მოძრაობით დარბაზში.

ამხ. კაგანოვიჩი დაწვრილებით ლაპარაკობს კურსდამთავრებულთა ამოცანებზე. ისინი უახლოეს დღეებში უნდა ჩაებნენ პრაქტიკულ მუშაობაში. მათი პასუხისმგებლობა იზრდება კიდევ იმიტომ, რომ ისინი ძველებურად სწავლობდნენ, ხოლო მუშაობა ახლებურად მოუხდებათ.

დაახლოებით შუაღამის 12 საათზე ამხ. კაგანოვიჩმა დაამთავრა თავისი სიტყვა. ტრანსპორტის ახალგაზრდა ინჟინერებმა თავის სახალხო კომისრისაგან მიიღეს მტკიცე ბოლშევიკური რჩევა - დარიგება, რამაც მათ მისცა ძალა და ენერგია მომავალი მუშაობისთვის.

კრებამ მისალმებები გაუგზავნა ამხანაგ სტალინს და ამხ. კაგანოვიჩს.

102 კილომეტრი პლანერით

ყაზანი, 4 ივლისი. გუშინ ვერხნე - უსლონის მთებში, ყაზანის საპლანერო სკოლის ბანაკში პირველად გაიმართა პლანერების ფარფატოვანი ფრენა.

სკოლის ინსტრუქტორი, პლანერისტი - კომკავშირელი კოროტოვი აფრინდა 1.600 მეტრის სიმაღლეზე და მიიმალა ღრუბლებში. 4 საათის შემდეგ კოროტოვისაგან მიიღეს დეპეშა, მშვიდობინად დავეშვი ქალაქ გუინსკის მოედანზეო. კოროტოვმა გაიარა 102 კილომეტრი.

პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია

დეპეშა „კომუნისტის" რედაქციას

სოხუმი, 5 ივლისი. აფხაზეთმა 3 ივლისისათვის აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა **105** პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული **178.060** კილოგრამი პარკის ნაცვლად, სახელმწიფოს ჩააბარა **187400** კილოგრამი.

დამზადება გრძელდება.

საქ. აბრეშუმტრესტის აფხაზეთის განყოფილების მმართველი
ალ. ზერია.

საქართველოს

პ. შიშნიაშვილი

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

6 ივლისს მთელი ქვეყნის კოოპერაცია დღესასწაულობს თავის მეცამეტე საერთაშორისო კოოპერატიულ დღეს.

ძირეულად განსხვავებულ სამეურნეო და პოლიტიკურ პირობებში [illegible] კაპიტალისტურ ქვეყნებისა და, მეორე მხრით, სოციალისტური სამშობლოს წარმატებით მშენებელი — საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები. —

კაპიტალისტურ ქვეყნებში კოოპერაცია წარმოადგენს კაპიტალისტური სისტემის უბრალო და უუფლო დამატებას მის შემადგენელ ელემენტს, ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ სისტემის საერთო კრიზისთან ერთად ბურჟუაზიულ ქვეყნებში კოოპერაციაც განიცდის ღრმა კრიზისს.

საბჭოთა კავშირში, პირიქით, კოოპერაცია სოციალისტური მეურნეობის ორგანული ნაწილია და ამ მეურნეობის გიგანტურ ზრდასთან ერთად მტკიცდება და ფართოვდება კოოპერატიული მშენებლობა.

უმუშევრობამ, მუშათა მილიონიანი მასების გაჭირვებამ კაპიტალისტურ ქვეყნებში მოჰყვა მშრომელი მოსახლეობის მოხმარების დონის კატასტროფულად დაცემა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა ბრუნვების სასტიკად შემცირება და ამ ორგანიზაციების მიერ წევრთა დიდი ნაწილის დაკარგვა.

კერძოდ გერმანიაში ფაშისტურმა ხელისუფლებამ უშუდეგოდ გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები კოოპერაციის ფაშიზმის მასობრივ ბაზად გადაქცევისთვის, შემდეგ პირდაპირ კოოპერაციის ლიკვიდაციას შეუდგა: მიმდინარე წლის 21 მაისს გამოცემულ დეკრეტით არსებულ კოოპერატივთა 60 პროც. ლიკვიდირებულ უნდა იქნეს, ხოლო 40 პროც. არ ეძლევა ნება მომავალში ანაბარები მიიღოს წევრებისაგან. ამ დეკრეტით კოოპერაციის ფაქტიურად წაერთვა შემდგომი არსებობის უფლება, ხოლო მუშათა 200 მილიონი ანაბარი კოოპერატივებიდან სახელმწიფო სალაროებში გადაირიცხა.

კოოპერაციის ასეთი ბედი გერმანიაში ბასრ ლახვარს სცემს კოოპერატიული რეფორმისტების ილუზიებს, თითქოს ფაშიზმის პოლიტიკისათვის დათმობით და მორჩილებით შეიძლებოდეს კოოპერაცია საბოლოო განადგურებას „გადაარჩინოთ". იმავე დროს გერმანიის მუშათა კოოპერაციის ასეთი ბედი აადვილებს და აჩქარებს ყველა ანტიფაშისტურ ძალთა მობილიზაციას და კოოპერატიული ოპოზიციის ანტირეფორმისტული მუშაობის შემდგომ გაშლება - გაფართოებას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სულ სხვა მდგომარეობაა ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ქვეყანაში. სოციალისტური მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის ბოლშევიკური ტემპებით განვითარებასთან ერთად იზრდება მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილების დონე. ფართოვდება კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვა და მოსახლეობის კოოპერირება.

საბჭოთა კავშირში კოოპერატიული დღის აღნიშვნის მნიშვნელობა მარტო ის კი არაა, რომ ჩვენ აღვნუსხავთ და შევამოწმებთ ჩვენი მუშაობის შედეგებსა და მიღწევებს, არამედ უმთავრესად ის, რომ ამ დღეს ჩვენ ვახდენთ ყველა ჩვენი ძალის მობილიზაციას კოოპერაციის წინაშე მდგომ ამოცანების გადასაჭრელად და მის მუშაობაში არსებულ გარღვევებისა და ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ, ვინაიდან „ახლა უფრო მეტად, ვიდრე როდესმე, ნათელი ხდება, რომ საქონლის ბრუნვის ახლანდელ მდგომარეობას არ შეუძლია ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება" (სტალინი).

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია მთელი რიგი მიღწევებით ხვდება მე-13 საერთაშორისო კოოპერატიულ დღეს: წლითიწლობით მატულობს საქონლის ბრუნვა. კერძოდ 1934 წლის საცალო საქონელბრუნვა შეადგენდა 257.6 მილ. მანეთს, იმავე წელს გაჩაღებულია კულტურული ვაჭრობის ფართო ქსელი ქალაქად (ტფილისი, ბათუმი, ქუთაისი) და მოწყობილია სოფლად კულტურული ვაჭრობის კერა — რაიმაღაზიები და რაიკულტმაღაზიები (პირველი 72 და მეორე 20 წერტის რაოდენობით), შესრულებულია სასოფლო - სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქტების დამზადებათა ყველა გეგმა, როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული; გადაჭარბებით შესრულებულია ფულადი რესურსების მობილიზაციის გეგმა, მიახლოვებულია ძირა სავაჭრო ქსელთან საბითუმო სავაჭრო რგოლი 8 სარაიონთაშორისო ბაზის სახით, მთელ რიგ რაიონებში (მახარაძისა, ლაგოდეხის, ჩოხატაურისაში და სხვაგან) მიღწეულია მოზრდილი მოსახლეობის ასი პროცენტით კოოპერირება და სხვ. მაგრამ **„შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბჭოთა ვაჭრობის მთელი ეს გაშლა საკმარისია ჩვენი ეკონომიკის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად"** (სტალინი). საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას ჯერ კიდევ ახასიათებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, ერთგვარი დისპროპორცია მუშაობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის, რაც ახლახან აღინიშნა კიდეც საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ის მე-3 პლენუმმა თავის დადგენილებაში ცეკავშირის მოხსენების გამო.

პლენუმის მიერ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის 1934 წ. მდგომარეობის დახასიათება სწორი აღმოჩნდა 1935 წლის პირველი კვარტალისათვისაც. პირველი კვარტალის საცალო საქონლის ბრუნვის გეგმა 90 პროცენტითაა შესრულებული. მთელმა სისტემამ 1935 წ. პირველი კვარტალი 202 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა, კერძოდ სოფლის კოოპერატივების ზარალი სავაჭრო ოპერაციებით 112.000 მან. უდრის აი ეს დეფექტები კოოპერაციის მუშაობისა უნდა დავსძლიოთ უმოკლეს ვადაში.

რა ძირითადი ამოცანები დგას ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე?

სოფლის კოოპერატივების საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცება და გაძლიერება უნდა გახდეს ცეკავშირის, რაიკოოპკავშირების და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღებისა და ბრძოლის ამოცანად: ლიკვიდაცია აშკარად არარენტაბელურ და დაუჯერთავი კოოპერატივებისა და სავაჭრო წერტების, სავაჭრო - საფინანსო გეგმების დაყვანა ყოველ სოფლის კოოპერატივისა და მის სავაჭრო წერტებამდე, ამ გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის გარშემო, როგორც კომმუშაკების, ისე მეპაითა მობილიზაცია, ჩანერგვა კოოპერატივების პრაქტიკაში მეპაითა წინაშე კვარტალური ანგარიშებისა და კოოპერატივის ორგანოების ნამდვილ არჩევითი სისტემისა, გაძლიერება ძირასაზოგადოებრივი კონტროლისა — სარევიზიო - საკონტროლო და სადუქნო - საკონტროლო კომისიების სახით: გაწმენდა კოოპერატიულ აპარატისა უცხო, მავნებელი, კულაკური, ქურდი და უმოქმედო ელემენტებისაგან, ლიკვიდაცია გაფლანგვა - მტაცებლობისა და გადამჭრელი ბრძოლა კოოპერატიულ ქონების დაცვისათვის — აი, რა მოგვცემს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ჯანსაღი კოოპერატიულ სავაჭრო ქსელს.

გაფლანგვა - მტაცებლობის ფაქტები სამომხმარებლო კოოპერაციაში აშკარად გვიჩვენებს, რომ კოოპერატიული კადრების შერჩევის, მომზადება - გადამზადების საქმე ვერა დგას „სათანადო დონეზე; ყოველ კოოპერატიულ ორგანიზაციაში უნდა ჩამოვაყალიბოთ და ავამოქმედოთ საატესტაციო - საკვალიფიკაციო კომისიები და მათი საშუალებით მოვახდინოთ როგორც უკვე მომუშავე პირების, ისე ახლადმოსაწვევი მუშაკების შემოწმება - შერჩევა.

არსებული კოოპერატიული სასწავლებლები და კურსები ისე უნდა გარდავქმნათ, რომ მათ მომზადონ პრაქტიკოს - კოოპერატორები და არა გაურკვეველ პროფესიისა და განხრის მქონე ადამიანები. სრულიად უნდა ალიკვეთოს ამ მხრით ამჟამად არსებული არანორმალური მდგომარეობა, როდესაც კოოპ. ტექნიკუმ დამთავრებულთა მხოლოდ 20 პროცენტამდე იმყოფება პრაქტიკულ კოოპერატიულ სამუშაოზე.

სამომხმარებლო კოოპერაციის სოფლის ქსელში არსებულ გარღვევებისა და ჩამორჩენის ერთი მთავარი მიზეზი არის კოოპერატივთა ხელმძღვანელების დიდი დენადობა. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ სოფლის კოოპერატივთა გამოცდილი და შემოწმებული თავმჯდომარეები და ხელმძღვანელი მუშაკები ორი წლის ვადით მაინც მივამაგროთ კოოპერაციაში სამუშაოდ. უნდა ალიკვეთოს აგრეთვე ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არსებული პრაქტიკა კომმუშაკების მობილიზაციის გარეშე სამუშაოსათვის. არ უნდა დარჩეს აგრეთვე არც ერთი სავაჭრო მუშაკი ტექნიკის დაუფლების წრეების გარეთ.

კოოპერატიულ საბჭოთა კაპიკისათვის ბრძოლის უნარი, რენტაბელობისათვის ბრძოლის უნარი — აი რა თვისება უნდა ახასიათებდეს ყოველ კოოპერატიულ მუშაკს, დაწყებული ცეკავშირის სამმართველოებით და გათავებული სოფლის კოოპერატივის სავაჭრო წერტის გამყიდველით.

საქონლის შესყიდვის მართებული ორგანიზაცია, აღკვეთა საქონლის ნისიად გაცემისა, სასადილოებიდან თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად სადილის გაცემლობა, შეუსრულებლობა თანხის გაცემის შესახებ განკარგულებისა კოოპერაციის სავაჭრო საფინანსო გეგმით გაუთვალისწინებული მიზნებისთვის, ვინც არ უნდა გასცეს ასეთი უკანონო განკარგულება; ლიკვიდაცია სადებიტორო დავალიანებისა და აღკვეთა ახალი დებიტორების აღმოცენების, უსასტიკესი ბრძოლა გაფლანგვების წინააღმდეგ და გაფლანგულ თანხების დაჩქარებით ამოსაღებად — აი გზა და საშუალება კოოპერატიულ ორგანიზაციათა და მთელი სისტემის გამოსაყვანად იმ ფინანსური დაძაბულობიდან, რომელშიაც იგი ამჟამად იმყოფება.

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ. მაისის პლენუმმა ამომწურავად დაახასიათა ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის ახლანდელი მდგომარეობა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. კოოპერაციის შემდგომი გაჯანსაღება - განმტკიცებისათვის ჩვენ უნდა შევსძლოთ მათი მთლიანად განხორციელება.

რომენ როლანი

საბჭოთა კავშირის შესახებ

მოსკოვი, 5 ივლისი. რომენ როლანი, რომელიც ა. მ. გორკისთან აგარაკზე ისვენებს, 4 ივლისს ესაუბრა „პოსლედნიე იზვესტია პო რადიოს" რედაქციას საბჭოთა კავშირში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებათა შესახებ. რომენ როლანის საუბარი ფირფიტაზე გადაიღეს სრულიად - საკავშირო რადიო-კომიტეტის მოსკოვის ბგერათჩამწერი ფაბრიკის ოპერატორებმა.

— საბჭოთა კავშირში მე პირველად ვარ — სთქვა რომენ როლანმა. მე მას ვიცნობდი მხოლოდ წიგნებით, გაზეთებით, მრავალი წერილით, რომლებსაც ვიღებ ჩემი მეგობრებისაგან საბჭოთა კავშირიდან, იმ რუსი და უცხოელი მეგობრების და მტრების ნაამბობით, რომლებიც საბჭოთა კავშირში ყოფილან. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მე მოვასწარი და ვნახე მხოლოდ მცირე ნაწილი იმისა, რაც მე მაინტერესებს. საუბედუროდ, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა ზღუდავს ჩემს შესაძლებლობას. რა გითხრათ? ამ ხნის განმავლობაში იმდენი და ისეთი ძლიერი შთაბეჭდილებანი მივიღე, რომ ჯერ კიდევ არ შემიძლია გამოვხატო. ის, რაც მე ყველაზე უფრო მაღელვებს და მხიბლავს — ეს არის მთელი ხალხის არაჩვეულებრივი ცხოველმყოფელობა, აღგზნება, ენთუზიაზმი.

მე ვნახე სტალინი, რომელმაც გამაოცა თავისი უბრალოებით, გულისხმიერებით და მოვლენათა გაგების სიფართოვით.

ამჟამად მე ვცხოვრობ მაქსიმ გორკისთან, რომელსაც მხოლოდ ჩვენი 20 წლის მეგობრული მიწერ-მოწერით ვიცნობდი და რომელთან შეხვედრაც ფრიად მახარებს.

30 ივნისს მე დავესწარი ფიზკულტურელთა პარადს. ძალიან დაღლილი ვიყავი. ვაპირობდი პარადზე მხოლოდ 1 საათს დარჩენას. მაგრამ ამ დიდებულმა სანახაობამ ისე გამიტაცა, რომ მთელ 6 საათს დავყავი.

მე განვისმჭვალე ამ კუნთმაგარ ყმაწვილების და ქალიშვილების სიამაყით და სიხარულით. მათ შორის გრძნობთ რწმენას, რომ მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლებისა, ისინი უკეთეს სამყაროს შეჰქმნიან.

⁂

ამ საუბრის თარგმანიც, რომელიც მარიამ პავლეს ასულ როლანმა შეასრულა, გადაიღეს ფირფიტაზე.

გუშინ, 23 საათზე რომენ როლანის საუბრის ჩანაწერი ფრანგულ ენაზე და მისი თარგმანი რუსულ ენაზე გადაცემულ იქნა რადიოთი.

ინგლისის გაზეთის კომენტარიები

ლონდონი, 3 ივლისი. „ნიუს ქრონიკლი" ეხება საბჭოთა პროტესტს და ყურადღებას აქცევს ტოკიოდან მიღებულ ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ იაპონიის სამხედრო სამინისტრომ არაფერი იცის საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ ბრალდებათა შესახებ, ვინაიდან საბჭოთა პროტესტი გადაეცა საგარეო საქმეთა სამინისტროსო გაზეთის სიტყვით, ასეთ პოლიტიკას მომავალში შეიძლება უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

„ოდესმე, — განაგრძობს გაზეთი, — იაპონიის სამხედრო სამინისტროს შეუძლია ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რომელიც პროვოკაციული გზით აიძულებს საბჭოთა კავშირს წაუყენოს იაპონიას ულტიმატუმი, ამასთან საგარეო საქმეთა სამინისტროს არაფერი ეცოდინება ამის შესახებ, ვიდრე, უკვე გვიან არ იქნება" (ადს).

ერთა ლიგის მეგობართა კავშირის კონფერენციის რეზოლუცია

ლონდონი, 4 ივლისი. ერთა ლიგის მეგობართა კავშირის კონფერენციამ, რომელიც დღეს კემბრიჯში შესდგა, რეზოლუცია მიიღო, რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობამ დაჟინებით უნდა მოითხოვოს ყველა ქვეყნის სამხედრო ავიაციის სავსებით მოსპობა და შეიტანოს წინადადება სამოქალაქო ავიაციაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებისათვის.

ამ რეზოლუციის დასაცავად გამოვიდა ოსტინ ჩემბერლენი, რომელმაც არ დაუჭირა მხარი საერთაშორისო არმიის შექმნას ერთა ლიგასთან. მისი სიტყვით, თუ მშვიდობიანობის შენარჩუნების ცდა უშედეგოდ დამთავრდება და საჭირო გახდება სანქციების გამოყენება, მაშინ ერთა ლიგაში შემავალმა ქვეყნებმა თავიანთი რესურსებით უნდა შეადგინონ ძალები, რომლებიც საჭირო იქნება მშვიდობიანობის შენარჩუნებლად და აგრესიის თავიდან ასაცილებლად (ადს).

ჰავასის სააგენტოს ცნობა

პარიზი, 3 ივლისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება.

„ადასტურებენ, საფრანგეთის მთავრობას გადაეცა ინგლისის წინადადება იმის შესახებ, რომ ინგლისსა, გერმანიასა და საფრანგეთს შორის მოეწყოს ინფორმაციის გაცვლა - გამოცვლა თვითეული ამ ქვეყნის სამხედრო - საზღვაო პროგრამის საკითხებზე.

აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის თანხმობას ამ წინადადების განხორციელებაზე აძნელებს ის, რომ მას არ სურს აღიაროს ინგლის - გერმანიის ორმხრივი შეთანხმება. აგრეთვე ის, რომ იგი უნდა იცნობდეს გერმანიის პროგრამას, სანამ თავის საკუთარ ზრახვებს განსაზღვრავდეს" (ადს).

იაპონელები მოითხოვენ გომინდანის ც. კ-ის ლიკვიდაციას

შანხაი, 4 ივლისი. „შანხაი მაინიჩის" გადმოცემით, იაპონელებმა მოითხოვეს გომინდანის ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაცია. ამ მოთხოვნის საბაბად გადაიქცა ჟურნალ **„სინშენის"** (ახალი ცხოვრება) საქმე. ამ ჟურნალმა ამას წინათ დაბეჭდა სტატია, რომელიც, ვითომდა, შეურაცხყოფას აყენებს იაპონიის იმპერატორს. ვინაიდან ამ სტატიის დაბეჭდვის ნებართვა გომინდანის ცენზურამ გასცა, იაპონელები პასუხისმგებლობას ამ სტატიისათვის გომინდანის ცენტრალურ კომიტეტს აკისრებენ (ადს).

ტიტულესკუ პარიზში

ვენა, 3 ივლისი. რუმინეთის პრესა ხაზს უსვამს იმ მოლაპარაკების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელსაც ტიტულესკუ, როგორც მცირე და ბალკანეთის ანტანტების თავმჯდომარე, აწარმოებს პარიზსა და ლონდონში. **„კურენტულის"** ცნობით, ტიტულესკუს გამგზავრების მიზანია საფრანგეთის და ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებთან დუნაის პრობლემის და აღმოსავლეთის პაქტის განხილვა, აგრეთვე იმის გამორკვევა, თუ როგორია საფრანგეთის და ინგლისის დამოკიდებულება კოლექტიური უშიშროების პაქტთან (ადს).

დოკუმენტთა შემოწმების და პარტაპარატში ჩაბუდებულ ბიუროკრატთა შესახებ

კლასიკური ბიუროკრატი, დამაყებული ჩინოვნიკი, რომლის სახე დიდმა რუსმა მხატვრებმა სამუდამოდ აღბეჭდეს, ჩვენს დროში, უეჭველია, გახუნდა, დაწვრილმანდა, გადაშენების გზას დაადგა.

მაგრამ ტყუილად კი არ ამბობენ. გარდასულ თაობათა ტრადიციები ცოცხალთა გონებას მაჯლაჯუნად აწვებაო. ბიუროკრატიზმიც ცდილობს თავისი დრო გაახანგრძლივოს. მის სახეს ჩვენ კარგად ვიცნობთ. საბჭოთა დაწესებულებებში მას განუწყვეტლივ ვანადგურებთ.

ბიუროკრატი ხალისით იკეთებს კომუნისტის ნიღაბს, ეს მას საშუალებას აძლევს ზოგჯერ პარტიულ აპარატშიც კი შეიპაროს. ხანდახან მას იქაც ვხვდებით.

კომუნისტთა წერილები „პრავდაში" ამას საკმაოდ მჭერმეტყველურად მოწმობენ. მათ და სამართლიანი გულისწყრომა „დიდი" „პატარა" ჩინოვნიკების წინააღმდეგ სავსებით გასაგებია.

მდივნის თანაშემწე — ასეთია ბორისოვის თანამდებობა საკ. კ.პ.(ბ) კუიბიშევის მხარის კინელჩერკასის რაიკომში: იგი სულ ორი თვეა მუშაობს, მაგრამ უკვე მოასწრო და სახელი გაითქვა როგორც პირწავარდნილმა ბიუროკრატმა. ცნობა ან საარქივო ბარათი რომ მიიღოთ, ყოველ დღე მის კაბინეტთან უნდა იყოთ ატუზული. მასთან უშედეგოდ დაიარებიან მთელ თვეს და უფრო მეტსაც. მიგიწვევთ 9 საათისათვის, თვითონ კი 11 საათზე მოვა, შემდეგ კი თავაზიანად გეტყვით — „რამდენიმე დღის შემდეგ შემოიარეთ.."

რა არის ეს, თუ არა უტიფარი დაცინვა? მაგრამ, ქამური მოპყრობა ცოცხალ ადამიანთან ბიუროკრატს ხომ ყოველთვის ახასიათებდა. იგი თითქოს ასახიერებდა ონავრულ ბუნებას, სულისკვეთებას იმ ექსპლოატატორული საზოგადოებისა, რომელსაც ადამიანი ჩალადაც არ მიაჩნდა, რომელიც პიროვნებას აბუჩად იგდებდა. მაგრამ როგორ შეიძლება მოვითმინოთ ასეთი რამ ჩვენს დროში? ვინ ჰფარველობს ამ მახინჯ ბიუროკრატებს?.

ხოლო ისინი რომ მოიპოვებიან, არაფითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. მაგალითად, უეჭველია ზნამენსკის რაიკომში მოკალათებული უსულგულო ჩინოვნიკების მიზეზით, გ. ჩერინცს, რომელმაც „პრავდას" მიმართა, ორნახევარი წლის განმავლობაში (მას შემდეგ, რაც იგი რაიონიდან ოდესაში გადავიდა) ვერ მიუღია ვერც საარქივო ბარათის დედანი და ვერც პასუხი. მრავალჯერ მისწერა. ბევრჯერ შეეკითხა ოდესის ოლქკომსაც, რომელსაც ზნამენსკის რაიკომი ექვემდებარება. მაგრამ ამაოდ. ამ ხნის განმავლობაში ჩერინცი შორეულ - აღმოსავლეთის წითელ არმიაში იყო. ისე გამოვიდა, რომ იგი ორნახევარი წლის განმავლობაში აღრიცხვაზე არსად არ ითვლება, საწევრო გამოსაღებს არ იხდის, ჯიბეში კი პარტიულ ბილეთს ატარებს!.

ბიუროკრატს შეუძლია საქმე წაახდინოს განსაკუთრებით ახლა, პარტიული მეურნეობის შემოწმების მომენტში. უკვე შემოსულია მრავალი საჩივარი, რომ ზოგიერთი რაიკომი და ქალაქკომი სდუმს. არ უპასუხებს ან ფორმალურ პასუხს იძლევა პარტიული დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე. განა ამაში ჩინოვნიკები არ არიან დამნაშავენი? პარტიული ხელმძღვანელებისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ სხვა ორგანიზაციათა შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობით ისინი „აძნელებენ პარტიულ დოკუმენტთა სინამდვილის შემოწმებას და ამასთან დაკავშირებით იმის გამორკვევას მართლა ეკუთვნის თუ არა პარტიული ბილეთი იმ პირს, რომლის შემოწმებაც ხდება" (საკ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან პარტიულ დოკუმენტთა შემოწმების შესახებ).

აი, მაგალითად, რა ბედი ეწია გენიჩესკის რაიკომის (დნეპრო-პეტროვსკის ოლქი) შეკითხვებს. ამ რაიკომმა მოისურვა გამოერკვია ზოგიერთი ცნობა ცალკეული კომუნისტების შესახებ. ადრესატთა უმეტესობამ პასუხი სულაც არ გასცა. მხოლოდ ზოგიერთმა საქმე თავიდან მოიშორა, ფორმალური მიმოწერით. შეკითხვაზე, თუ როდის შევიდა პარტიაში სევასტოპოლის საზღვაო ქარხნის ყოფილი მუშაკი დუნინი, სევასტოპოლის საქალაქო კომიტეტმა უპასუხა:

„პარტიული არქივი სიმფეროპოლშია. იქ უნდა მიმართოთ. აღმრიცხველი ბიჭოვი".

მისწერეს სიმფეროპოლში. საკ. კ.პ. (ბ) ყირიმის ოლქკომის პასუხი ამბობს: „გატყობინებთ, რომ დუნინის მიღების შესახებ ჩვენთან არავითარი ცნობა არ მოიპოვება. მიმართეთ სევასტოპოლის საზღვაო ქარხნის პარტკომს. ოლქკომის აღრიცხვის გამგე ღრიანცი".

კიდევ რამდენი ასეთი უსარგებლო დევნის გზავნა შეიძლება პარტიული ფულით? უთვალავი. ამაში თანამედროვე აკაკი აკაკიევიჩები ოსტატები არიან, — ოღონდ არ ელაპარაკონ ცოცხალ ადამიანებს, არ გასცენ არსებითი, ამომწურავი პასუხი ეს ჩინოვნიკებისათვის ბასრი იარაღია.

ერთი წუთითაც არ შეიძლება მოვითმინოთ ჩინოვნიკური, კაზიონური, უსულგულო დამოკიდებულება ცოცხალ კომუნისტთან. არ შეიძლება ლიბერალობა იმათთან, ვინც ბიუროკრატიულად უზიზღრებს ადამიანს, ვინც უსიამოვნებას გრძნობს, როცა კომუნისტს პარტიულ კომიტეტში ხედავს, ვინც მას გულგრილად, ხშირად უხეშადაც კი ჰხვდება.

კომიტეტის მდივანი უეჭველად პასუხისმგებელია პარტიული მექანიზმის ყოველი ნაწილაკისათვის. შემთხვევითი როდია, რომ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა ქალაქკომებისა და რაიკომების მდივნებს დაავალა ამომწურავი და დაუყოვნებლივი პასუხი გასცენ პარტორგანიზაციების შეკითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებასთან.

პარტიული აპარატის მუშაკად ყოფნა დიდად საპატიო რამ არის; ეს, ავალებს მას გამოიჩინოს არა მარტო სიფხიზლე, არამედ უდიდესი ყურადღება და გულისხმიერება რიგითი პარტიელების საჭიროებისადმი.

„პრავდა", 5 ივლისი.

„საბჭოთა მრეწველობამ არ იცის, რა არის გადაულახავი სიძნელეები"

ლონდონი, 3 ივლისი. ინგლისის ნავთის მრეწველთა ორგანო **„პეტროლეუმ ტაიმსი"** ათავსებს საბჭოთა კავშირში ნამყოფ ლიჯეტის სტატიას.

„საბჭოთა კავშირში, — ნათქვამია სტატიაში, — რევოლუციის შემდეგ პროგრესი იმდენად დიდი და სწრაფია, განვითარების გეგმები იმდენად გრანდიოზულია, რომ ადვილი არ არის მათი აღწერა. სტატიის ავტორი ყურადღებას აქცევს საბჭოთა ინჟინრის გამოგონებული ტურბინბურღის ხმარებას, იმას, რომ ბურღვა სწარმოებს კავკასიის ყველა რაიონში და რომ ნავთის წარმოება, გროზნოს გამოკლებით, ყველგან მატულობს".

„პეტროლეუმ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა მრეწველობამ არ იცის, რა არის გადაულახავი სიძნელეები (ადს).

გ. მუსაბეკოვი

ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოთა კონსტიტუციის 12 წელი

1923 წლის 6 ივლისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საბჭოების 1 ყრილობამ მიიღო ამხ. სტალინის კომისიის მიერ ჩამოყალიბებული საბჭოთა კონსტიტუცია.

მას შემდეგ ყოველ წელს საბჭოთა კავშირის მშრომელები 6 ივლისს აღნიშნავენ, როგორც საბჭოთა კონსტიტუციის დღეს, როგორც საბჭოების ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელთა ძმური ერთობის დღეს.

ოქტომბრის რევოლუციამ დაანგრია ხალხთა საუკუნოებრივი საპყრობილე — მეფის რუსეთი.

საბჭოების ქვეყანამ თავის უდიადეს ისტორიულ გამარჯვებებს და წარმატებებს მიაღწია იმის მეოხებით, რომ იგი განუხრელად ახორციელებდა ლენინისა და სტალინის დიად მოძღვრებაზე დამყარებულ ნაციონალურ პოლიტიკას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შესძლო შეემჭიდროვებინა ს.ს.რ.კ.-ის ხალხები ერთ რევოლუციურ ძალად, რომელსაც შესწევს უნარი წინაღუდგეს იმპერიალიზმის შემოტევას; მან შესძლო ნაციონალური მტრობისა და ჩაგვრის ნაცვლად დაემყარებინა მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა, მხარი დაეჭირა და ძმური დახმარება გაეწია ჩამორჩენილი და წინათ დაჩაგრული ხალხებისათვის.

„პროლეტარიატმა საბჭოთა წყობილებაში ჰპოვა გასაღები ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრისათვის, აღმოაჩინა მასში ნაციონალური თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე მტკიცე მრავალეროვნებიანი სახელმწიფოს ორგანიზაციის გზა" (სტალინი).

საბჭოების ქვეყანა დღეს ის აღარ არის, რაც 12 წლის წინათ იყო, საბჭოთა კონსტიტუციის შექმნის დღეს.

დღეს სოციალისტური საკუთრება ჩვენი წყობილების საფუძველს წარმოადგენს. თუ 1925 წელსაც კი საბჭოების ქვეყნის ყველა საწარმოო ფონდის ნახევარზე მეტი თავმოყრილი იყო კერძო სექტორში, ახლა 96 პროცენტზე მეტი სოციალისტურ სექტორს ეკუთვნის, ხოლო კერძო სექტორის წილად 4 პროცენტზე ნაკლები მოდის.

ამ წლების განმავლობაში შექმნილი და ათვისებულია ტექნიკურად მოწინავე მრეწველობა. მრეწველობის მრავალ წამყვან დარგში საბჭოთა კავშირმა უკვე პირველი - მეორე ადგილი მოიპოვა მთელ მსოფლიოში. დღეს ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას შეუძლია სახალხო მეურნეობას მისცეს რომელიც გნებავთ **ურთულესი, ტექნიკურად სრულყოფილი მანქანა.**

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანა, ყველაზე უფრო ძნელი ამოცანა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა, ახლა ძირითადად უკვე გადაჭრილია. 21 მილიონზე მეტი გლეხური მეურნეობა მტკიცედ დადგა სოციალიზმის წითელი დროშის ქვეშ. სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე, კოლმეურნეობათა უფრო და უფრო მეტი რიცხვი მოწინავეთა რიგებში დგება, უფროდაუფრო თვალსაჩინო შედეგებს იძლევა ბრძოლა კოლმეურნის კულტურული, შეძლებული ცხოვრებისათვის.

ის ცვლილებანი, რომლებიც საბჭოების მე-7 ყრილობის გადაწყვეტილებებით შეტანილი იქნება საბჭოთა კონსტიტუციაში, აფართოებენ საბჭოთა დემოკრატიას. საბჭოთა ფართო დემოკრატიის ეს გაშლა ხელს შეუწყობს პარტიას და მთავრობას გამოააშკარავონ ჩვენი მუშაობის სუსტი უბნები, უფრო მკვეთრ სახეს მისცემს ხელისუფლების ძირეულ ორგანოთა მუშაობას.

6 ივლისს, რომ ვაჯამებთ ჩვენს უმნიშვნელოვანეს წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია პარტიისა და დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ძმური ერთიანობის შედეგად, — უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს სოციალისტური მრეწველობის უდიდესი წარმატებანი. ჩვენი მრეწველობის 1935 წლის პირველი 5 თვის მუშაობის შედეგები ბრწყინვალე ციფრების ენაზე გვეუბნებიან, რომ ჩვენი ქვეყანა განვითარების ტემპთა ახალი დაჩქარების ხანაში შევიდა. ჩვენ უმაგალითო აყვავებას და აღმავლობას განვიცდით.

უფროდაუფრო მატულობს მრეწველობის იმ გიგანტთა რიცხვი, რომელნიც არა მარტო უარს ამბობენ დოტაციაზე, არამედ სახელმწიფოს თვალსაჩინო მოგებას აძლევენ.

კოლმეურნეობათა მიერ ამა გაზაფხულზე სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მიღებამ საკოლმეურნეო სოფლის აქტიურობის ახალი აზვირთება გამოიწვია. უდიდესად გაიშალა ამა გაზაფხულზე ბრძოლა ღონიერი კოლმეურნეობისათვის, შეძლებული, კულტურული საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის.

უმაგალითოდ აყვავდა კულტურა — შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური. რევოლუციამდე უაღრესად ჩამორჩენილ ნაციონალურ რაიონებში შემოღებულია საყოველთაო სწავლება, ძირითადად მოსპობილია წერა-კითხვის უცოდინარობა. ჩვენი მიღწევები მეცნიერებასა, ლიტერატურასა და ხელოვნებაში უფროდაუფრო ფართო გასავალს ჰპოულობს საერთაშორისო ასპარეზზე. საზღვარგარეთიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვანი დელეგაციების განცხადებანი პრესაში, მწერალთა საერთაშორისო კონგრესი პარიზში და სხვ. გვეუბნებიან, რომ მსოფლიოს ყველაზე უფრო მოწინავე ადამიანთა გულისყური სიყვარულით მიმართულია იმ ქვეყნისაკენ, სადაც გაიფურჩქნა სოციალისტური კულტურა და სადაც ამ ნიადაგზე ცოდნის ყოველ დარგში უფროდაუფრო მეტი ტალანტები იზრდებიან.

ამ წარმატებებმა, რომლებიც ცხადჰყოფენ საბჭოთა კავშირის მთელ სიდიადეს, გავლენა მოახდინეს მის საერთაშორისო მდგომარეობაზეც. ჩვენი საერთაშორისო პოზიციები ისე მტკიცე არასოდეს ყოფილა, როგორც დღეს.

ს.ს.რ. კ.-ის საბჭოების პირველ ყრილობაზე ამხ. **სტალინი** — საბჭოთა კონსტიტუციის შემქნელი — ამბობდა, რომ სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა გაერთიანებამ ს.ს.რ. კავშირად და საბჭოთა კონსტიტუციის შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ქვეყანას „განვითარდეს სერიოზულ საერთაშორისო ძალად; რომელიც შესძლებს ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო ვითარებაზე, შესძლებს შესცვალოს იგი მშრომელთა ინტერესებისათვის".

განვლილმა წელმა ნათლად გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი გადაიქცა პროლეტარიატის დიად სახელმწიფოდ. მთელი დედამიწის უფართოესი მასების შეგნებაში იგი დამკვიდრდა, როგორც მშვიდობიანობის უპირველესი ფაქტორი.

განვლილი წლის ფაქტები, მაგალითად საბჭოთა კავშირის მიწვევა ერთა ლიგაში, შემდგომი მიღწევანი მშვიდობიანობისათვის საერთო ბრძოლის საფუძველზე, საფრანგეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან დაახლოვების პოლიტიკა, ბრძოლა რეგიონალური პაქტებისათვის და სხვ. — ყოველივე ეს მოწმობს მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის მებრძოლის— საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდას, საბჭოთა საზღვრების ფხიზელი გუშაგის — უძლეველი მუშურ - გლეხური წითელი არმიის მფარველობით, საბჭოთა კავშირის ხალხები მტკიცედ მიდიან დასახული მიზნისაკენ, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

საბჭოთა კონსტიტუციამ, რომლის უმნიშვნელოვანესი დებულებანი უკვე სავსებით ნათლად იყო გამოხატული საბჭოთა ხელისუფლების ერთერთ პირველ დეკრეტში. **ლენინისა** და **სტალინის** მიერ ხელმოწერილ დეკრეტში — „რუსეთის ხალხთა უფლების დეკლარაციაში" — არსებითად დასაბამი მისცა რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე მრავალი ხალხის ისტორიას. მთელ რიგ ნაციონალურ რესპუბლიკათა 15 წლისთავი, რომელიც წელს ვიდღესასწაულეთ, ინტერვენტების ურდოებისაგან საბჭოთა ტერიტორიების განთავისუფლების 15 წლისთავი გვაძლევს იმ გზის დაუვიწყარ სურათს: რომელიც ამ 15 წლის განმავლობაში ნაციონალურმა რესპუბლიკებმა გაიარეს. ეს არის გზა ცარიზმის უუფლებო კოლონიიდან სოციალიზმის ფორპოსტამდე — მოწინავე ინდუსტრიალურ - აგრარულ მხარეებამდე, რესპუბლიკებამდე და ოლქებამდე.

ამიერ - კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკები, რომელთაგან საქართველომ აზერბეიჯანმა და აფხაზეთმა წელს მიიღეს უმაღლესი ჯილდო — ლენინის **ორდენი** — ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სხვა მხარეთა შორის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში ჩადგნენ. დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ნაშთებთან თანამიმდევრული ბრძოლის გზით, ამიერკავკასიის ფედერაციის ხალხებმა განამტკიცეს ძმური თანამშრომლობა სოციალიზმის შენებლობის საქმეში. ისინი, პარტიის ხელმძღვანელობით, უფროდაუფრო სწრაფი ტემპებით მიდიან კულტურული ცხოვრების ახალი მწვერვალებისაკენ.

საბჭოთა კონსტიტუციის დღეს. უდიდეს მიღწევათა შეჯამების დროს, ამიერ - კავკასიის რესპუბლიკათა მშრომელებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ მეორე ხუთწლედის მესამე წლის გეგმის შესრულებას.

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წამყვანმა დარგმა— ნავთის მრეწველობამ, რომლის ხელმძღვანელები და დამკვრელები ს.ს.რ. კ-ის ცაკის დადგენილებით ამ დღეებში დაჯილდოვებულ იქნენ 1933 და 1934 წლების გეგმათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, — ა. წ. პირველი ხუთი თვის განმავლობაში გეგმა მხოლოდ 89,6 პროცენტით შეასრულა. ბოლშევიკურად უნდა მოვაგვაროთ მუშაობა, დავძლიოთ ჩამორჩენა ბურღვაში, ენერგიულად მოვკიდოთ ხელი მუშაობას ყოველ სარეწაოში, ნუ ჩამოვრჩებით საბჭოთა კავშირის მრეწველობის მოწინავეთა რიგებს.

ჩვენმა ამიერ - კავკასიის რკინისგზამ წლის პირველი ნახევრის ტვირთზიდვის გეგმა წარმატებით შეასრულა და საბჭოთა კავშირის მოწინავე რკინისგზათა რიგებში ჩადგა. უნდა განვამტკიცოთ წარმატებანი, ჯეროვნად მოვემზადოთ შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის.

მოკლე ვადებში და წარმატებით დამთავრებული საგაზაფხულო თესვა გვავალებს მთელი ძალღონე მოვანდომოთ ნათესის გულდასმით დამუშავებას, მოსავლის აღებისათვის მზადებას და პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა თავის დროზე შესრულებას.

საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზამ — ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკამ — წელს უნდა მიაღწიოს იმას, რომ ჰექტარიდან სულ მცირე 8,52 ცენტნერი ბამბა მიიღოს და მთელი ბამბა დაწესებულ ვადაში აიღოს. ჩაის წარმატებით დამზადება განვლილ თვეებში გვავალებს — წელს ვადაზე მოვკრიფოთ უკეთესი ხარისხის 12.347 ათასი კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი. წელს ჩვენ უნდა დავამზადოთ სულ მცირე 150 მილიონი მანდარინი და 1 მილიონი ლიმონი.

ჩამოთვლილი ამოცანები გვკარნახებენ შეუპოვარი მუშაობა გავაჩაღოთ, რათა ღირსეულად დავამთავროთ სასოფლო - სამეურნეო წელიწადი, შევინარჩუნოთ წინა წლებში მოპოვებული ადგილი სოციალისტური მიწათმოქმედების მოწინავეთა შორის.

კონსტიტუციის დღე, რომელმაც განამტკიცა რკინით და სისხლით მიღწეული საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთა მონაპოვარნი, კიდევ და კიდევ მოგვაგონებენ, რომ აუცილებელია რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება, ჩვენი დიადი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

დღეს, 6 ივლისს, მრავალრიცხოვანი საბჭოთა კავშირის მშრომელთა გული აღგზნებულია თავისი სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის, თავგამოდებული ერთგულების მხურვალე გრძნობით. საბჭოთა კავშირი, როგორც კონსტიტუციაშია ნათქვამი, წარმოადგენს „საიმედო ბურჯს მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ახალ გადამწყვეტ ნაბიჯს ყველა ქვეყნის მშრომელების მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გაერთიანების გზაზე".

ეს სიამაყე თავისი ქვეყნისათვის, სოციალისტური სამშობლოს დიდი რევოლუციური ძლიერებისათვის ზრდის საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა წრიდან მრავალ ათას გმირს, მრავალ მილიონ გაბედულ მებრძოლს.

უფრო მაღლა აეწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, **მარქს - ლენინ - სტალინის დროშა!**

მთელი ძალღონე მოვანდომოთ ჩვენი დიადი და მშვენიერი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აყვავებას!.

კომუნისტი

საგაზეთო შენიშვნები

გაზეთი მოწყდა მასებს

ყაზბეგის რაიონული გაზეთის „ახალი ხევის" რედაქცია ერთობ „მარტივად" სწყვეტს საგაზეთო მასალის ორგანიზების საკითხს. აიღებს ცენტრალურ და რესპუბლიკურ გაზეთებს: ერთიდან ამოიღებს მოწინავე წერილს, მეორიდან დადგენილებას, მესამედან მოხსენებას ან სიტყვას, ორიოდე ადგილობრივ დადგენილებას ან ცირკულიარსაც მიუმატებს და გაზეთი მზად არის. თვით რედაქციის საკუთრებას შეადგენს გაზეთის სათაური, პ.-მგ. რედაქტორის ამხ. მ. კაკაბაძის ხელის მოწერა და დროგამოშვებით ადგილობრივ ავტორების ორიოდე წერილი, ან შენიშვნა.

იშვიათად თუ „ახალი ხევი" თავის ფურცლებზე ადგილს დაუთმობს მუშკორთა წერილებს, რაიონულ ინფორმაციას ან ადგილობრივ მასალას.

ცხადია, რომ გაზეთი „ახალი ხევი" სუსტად არის დაკავშირებული მასებთან — მუშებთან, კოლმეურნეებთან, პირველად პარტიულ კომკავშირულ და პროფესიულ ორგანიზაციებთან. ცხადია, რომ „ახალი ხევი"-ს რედაქცია არ აწარმოებს მუშკორთა შორის მასობრივ და აღმზრდელობითი მუშაობას. დაბოლოს, ცხადია, რომ ხევის რაიონული პარტიული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს თავის გაზეთს.

შეუძლია თუ არა ასეთ რაიონულ გაზეთს დააინტერესოს მუშათა და კოლმეურნეთა მასები, პოლიტიკურ და საწარმოო ცხოვრებაში ჩააბას მკითხველთა ახალი ფენები? ცხადია, რომ არა.

„ახალი ხევის" რედაქციამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ რაიონული გაზეთის ფურცლებზე მუშკორთა კორესპონდენტები უნდა შეადგენდეს ძირითად მასალას, ხოლო ამისათვის კი საჭიროა სისტემატური მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა მუშკორთა შორის.

ხმა მღაღადებლისა...

ონის რაიონის გაზეთ „სოციალიზმის მშენებლობა"-ს არ მიუღია არც ერთი გამოხმაურება იმ მამხილებელ მასალებზე, რომლებსაც გაზეთი ბეჭდავდა მთელი ნახევარი წლის განმავლობაში; კიდევ მეტი:

„წარმოება - დაწესებულებების ხელმძღვანელები სრულებით არ აქცევენ ყურადღებას ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ მამხილებელ წერილებს, უფრო მეტიც, ისინი არც კი კითხულობენ ამ მამხილებელ წერილებს" — აღიარებს „სოც. მშენებლობის" რედაქცია („ს. მ." № 13).

რა ზომებს მიმართა რედაქციამ მდუმარე ორგანიზაციების ახამეტყველებლად?

გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი — „რატომ არ გვეხმაურებიან", რომელშიაც რედაქცია გადაჭრით მოითხოვდა გამოხმაურებოდენ გაზეთს გასული წლის ოქტომბრის თვიდან მიმდინარე წლის 25 მარტამდე გამოქვეყნებულ მამხილებელ წერილებზე".

თუმცა „სოც. მშენებლობის" რედაქცია გვარწმუნებს, რომ ამ წერილის დაბეჭდვით მან მიაღწია „ერთგვარ შედეგებს", მაგრამ ჩვენ მაინც იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ონის რაიონული გაზეთი ბოლშევიკურად ვერ იბრძვის საგაზეთო მასალის მოქმედიანობისათვის.

ბრძოლა გაზეთის ფურცლებზე აღძრულ საკითხების ბოლომდე დაყვანისათვის, გაზეთის თვითეული სტრიქონის მოქმედიანობისათვის წარმოადგენს საგაზეთო ოპერატიულობის უმთავრეს პირობას. გაზეთი სისტემატურად, ნომრიდან ნომრამდე უნდა იბრძოდეს გამოქვეყნებულ წერილების და შენიშვნების ეფექტიანობისათვის. საგაზეთო მასალების მოქმედიანობის შესამოწმებლად გაზეთმა უნდა გამოიყენოს მასობრივი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის მუშკორთა რეიდები. საკითხი იმათ შესახებ, ვინც უგულებელყოფს ბოლშევიკური პრესის ხმას, გაზეთმა უნდა დააყენოს რაიონის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. პარტიის მე-8 ყრილობის დადგენილების საფუძველზე, გაზეთმა უნდა მიაღწიოს იმათ პასუხისგებაში მიცემას და საჯაროთ გასამართლებას, ვინც სისტემატურად გვერდს უვლის გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მამხილებელ მასალას.

ბოლშევიკური გაზეთის ხმა უნდა იყოს ხმა მებრძოლი, მოქმედიანი, ენერგიული, ოპერატიული და არა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!

* * *

ყარაიას რაიონის სოფ. ქესალოს კოლმეურნეობის მინდვრებზე მომკილი პურის ძნებად შეკვრა

ტფილისის სამკერვალო კომბინატის მშენებლობაზე ამუშავდა მექანიკური გამოჭრის საამქრო — პირველი ამიერ-კავკასიაში. სურათზე: გამომჭრელი დამკვრელი აგაჯანოვი (გეგმას ასრულებს 125—150 პროცენტით) მუშაობს მექანიკურ გამოჭრაზე.

სურს თუ არა ბრძოლა დამახინჯებათა წინააღმდეგ?

რაიონში დამზადებულ სას.-სამ პროდუქტებს მეტწილად (ერბოს, კვერცხს, მატყლსა და სხვას) სამომხმარებლო კოოპერაციის ადგილობრივი წერტები იბარებენ.

ყველა სახის პროდუქტისათვის დაწესებულია მტკიცე ფასები, რომელიც უნდა ეძლეოდეთ პროდუქტების ჩამბარებლებს. სამომხმარ. კოოპერაციის ძირეული წერტები ან სულ არაფერს აძლევენ ჩამბარებლებს, ან აძლევენ დაწესებულზე გაცილებით ნაკლებს; არაერთხელ შეგვიმჩნევია ნოქრების მხრით ფასების დამახინჯება, მაგრამ რაიკოოპკავშირის დღემდე ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

მაგალითად: გვერძნეთის კოოპერატიული წერტი (ნოქარი გრიგოლ ელიბაქიძე) კილოგრამ გარეცხილ მატყლში, ნაცვლად დაწესებულ 4 მან. და 90 კაპ., აძლევდა მხოლოდ 3 მან. და 70 კაპ.

ზლუდრის კოოპერატიული წერტში ნოქარი გლურჯიძე გარეცხილ მატყლში გლეხებს აძლევს 3 მან. და 10 კაპ. ნაცვლად 4 მან. და 90 კაპ. ცხადია, განსხვავებას თითონ ნოქარი ითვისებს.

საქმის ვითარება იცის ქარელის კოოპერატივის გამგეობამ (აღნიშნული საპაჭრო მას ეკუთვნის), მაგრამ ის არავითარ ზომებს არ იღებს.

ამავე ქარელის კოოპერატივის წერტებში სრულიად არ გაუციათ ჩაბარებულ პროდუქტების ფასი ჯერ კიდევ 1934 წლიდან.

უნუგეშო მდგომარეობაა ამ მხრივ გორის სამომხმარ. კოოპერატივის წერტებშიაც, მაგალითად, მოხისის წერტში მატყლს იღებენ კილოგრამს 1-85 კაპ., ნაცვლად 4 მან. 90 კაპ. მთელ რიგ წერტებში თხის ბალანს იღებენ 50-დან 90 კაპ. ნაცვლად დაწესებულ 1 მან და 85 კაპ. ბრეთის წერტს (ნოქარი ღონღაძე) არ გაუცია გლეხებზე 1934 წელს ჩაბარებულ ბოსტნეულის ფასი 600 მანეთი.

საჭიროა რაიონის პროკურატურამ პასუხისგებაში მისცეს ფასების დამახინჯებისთვის დამნაშავე პირები.

ტ. გოზალოვი.

კიდევ ალაზნის საბჭოთა მეურნეობაზე

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან).

ალაზნის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში დანაკარგის წინააღმდეგ კვლავ — სუსტად იბრძვიან. ზოგიერთი კომბაინერის უხეირო მუშაობით აუარებელი თავთავი იკარგება. მარცვლმჭერის ცუდი გამოყენების გამო იფანტება გალეწილი ხორბალი. ყოველ კომბაინიდან ბელებამდე პურის მარცვლის ზოლებია გავლებული. ეს ავტომანქანების ნაჩვრეტებიდან დაპნეული ხორბალია, ზოგი ფარდული ცუდად არის შემოფიცრული, ხორბალი იპნევა.

მეურნეობას ყოველგვარი საშუალება გააჩნია ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მას ჰყავს კომბაინერთა გამობრძმედილი კადრი.

ამხ. მერსალოვი, პრეობრაჟენსკი, ყაითმაზოვი და სხვები — აი დამკვრელები, რომელნიც მოსავლის აღების დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

მეორე უბნის კომბაინერ ამხ. დანილინმა მოსავლის აღების პირველ დღეს, მიუხედავად ავტომანქანის მიზეზით (!) სამი საათით გაცდენისა, მოსავალი აიღო 15,2 ჰექტარზე, მეორე დღეს — 21 ჰექტარზე, მესამე დღეს კი უფრო მეტი.

ამხ. დანილინი თავისი თანაშემწეებით საუცხოვოდ უვლის კომბაინს, ისინი ცალცალკე ამოწმებენ ყველა ხრახნილს, ღამე იმარაგებენ საწვავ-საცხებ მასალას, ზეთავენ კომბაინს.

დილით კომბაინერი ერთხელ კიდევ შეამოწმებს ხოლმე, თავის „კრეისერს" და ისე შეიჭრება პურის ზღვაში.

კომბაინერების მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, მათ სათანადო მზრუნველობით რომ ეკიდებოდნენ.

განა კადრებთან უგულგულო დამოკიდებულების შედეგი არ არის, რომ მეურნეობის პირველ უბანში 21, 26 და 27 ივნისს, დიდი წვიმების დროს კომბაინერებს, არ ჰქონდათ თავშესაფარი, ისინი კომბაინის ქვეშ სველში იწვნენ და თავს აწვიმდათ?

განა შესაწყნარებელია, რომ იმავე პირველ აგროუბანში (კომბაინი 19), კომბაინერს, მის თანაშემწეს და ტრაქტორისტს მთელი დღის განმავლობაში საჭმელი არ მიუღიათ?

ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

კომბაინერების სრული დატვირთვით მუშაობას აფერხებს ავტომანქანების უგეგმოდ გამოყენება. კომბაინის ბუნკერიდან მეურნეობის ბელამდე მარცვლის გადაზიდვა, მოუწესრიგებელია.

წესიერად არც სასწორები მუშაობენ. მაგალითად, პირველ სასწორზე, რომელზედაც მატინოვი მუშაობს, ასწონეს ხორბლით სავსე მანქანა, გამოვიდა სულ 6375 კილო. იგივე მანქანა მაშინვე ასწონეს მეორე სასწორზე, რომელზედაც მუშაობს ხოხარულიძე. ამ სასწორზე ტვირთი 6 კილოთი ნაკლები გამოვიდა.

მეურნეობის დირექციამ ყოველივე აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ალ. გვინჩიძე.

ფერმა უყურადღებოდაა, კადრებს არ აფასებენ

(ცაგერი, საკ. კორესპონდენტისაგან)

სოფ. თაბორის კოლმეურნეობა „ლენინის გზით"-ის მეცხოველეობის ფერმა ამჟამად 67 სულ საქონელს ითვლის. ბინა ისე პატარაა, რომ 40 სული ძლივს ეტევა. ხბოებისათვის ადგილი არა აქვთ.

ფერმის ბოსელი უგეგმოდ არის აშენებული, ბნელია, მას ერთი ფანჯარაც არა აქვს. პირუტყვმა ზამთარი აქ ასეთ ბინაში გაატარა. კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტორგანიზაციამ ერთი წლის წინათ დასვეს საკითხი ფერმის ბოსლის გაფართოებისა და კეთილმოწყობის შესახებ. დადგენილებაც გამოიტანეს, მაგრამ დღემდე ეს საქმე დაივიწყეს.

თუ ამ ზამთრისათვის არ მოაწყეს ბინა—პირუტყვი, რომელიც ამ დროისათვის 90 სულამდე გაიზრდება, გარედ დარჩება.

ამ ფერმას ბევრი ნაკლი აქვს. რძის პროდუქტების დამზადება პრიმიტიულად ხდება. მწყემსებს აქვთ სეპარატორი, მაგრამ მისი გამოყენება არ იციან. ეს ხელსაწყო მეორე წელია უქმად დგას.

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ ამზადებენ ყველს. გამოირკვა, რომ მწყემსებს არა აქვთ რძის ასაკვეთი აფთიაქის ფხვნილები. რძის ასაკვეთს, ხშირად უვარგისს, სოფელში იძენენ. არა აქვთ რძის ასადუღებელი ქვაბები. რძეს კასრებში ადუღებენ და ამის გამო ის უსუფთაოა. ხშირად ყველს სიბნელეში ამზადებენ. მთელ ფერმაში მხოლოდ ერთი მბჟუტავი ლამპა უდგიათ.

მოვუსმინოთ მწყემსს გიორგი სუბუქელაშვილს.

— ჩვენ, მწყემსებს, მთელი დღეღამის განმავლობაში, ხშირად ქარაშხლის დროსაც, ფეხზე დგომა და გარეთ ყოფნა გვიხდება. მუდამ ტყეში დავრბივართ, ვუთვალთვალებთ არაფერი მოუვიდეს პირუტყვს. გვეუბნებიან — დედობრივი მზრუნველობით მოუარეთ საქონელსო. ვუვლით კიდეც, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევენ. არა გვაქვს ნაბდები და სხვა წამოსასხური, არც ფეხსაცმელი და სპეცტანსაცმელი გვაქვს. ყველაფერი ეს კი აუცილებლად საჭიროა მწყემსისათვის.

ამასვე ამბობენ დანარჩენი მწყემსებიც.

ფერმის მომუშავეთათვის გამოყოფილი არ არის ცალკე ბინა. ფერმაში არ მოიპოვება პირსაბანი და პირსახოცი. ფერმის მომუშავეებს გაზეთი პირველ იანვრიდან არ მიუღიათ.

განა ასე უნდა ადამიანების, კადრების დაფასება?!

თაბორის კოლმეურნეობის ფერმას ესაჭიროება ცაგერის რაიმიწგანის კონკრეტული დახმარება.

გ. ყურაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმის ნავთსადგური. სურათზე: ზღვის ღელვა.

ერნსტ ტელმანს

ვასო გორგაძე

ბრძოლით დაეცენ. მდუღარე ცრემლი
არ დაუღვრია გმირების თვალებს.
მათი ხმა — როგორც ნაწრთობი გრდემლი —
სჭედდა ეპოქის ახალ მწვერვალებს.

მხოლოდ ხსოვნაში დარჩა, ვით დარდი —
მტრისადმი გულში გაშლილი ზიზღი:
ახლაც იგონებს ლიბკნეხტის ჩრდილს
თოფის კონდახზე შემხმარი სისხლი.

ახლაც გულს მძაფრი ყინულით აზრობს
მდუმარ ბაღებზე იანვრის თოვა —
როცა მტარვალმა ტყვიით ჩააქრო
ლუქსემბურგის მაღალი ლტოლვა.

გახსოვს? მტარვალნი გაფთრებულნი,
ვით გაუმაძღარ სვავების დასი —
თვრებოდნენ მსხვერპლზე გამარჯვებულნი
და სისხლიანი დაცალეს თასი.

მათ ავაზაკის ქუსლი დადგეს
თავისუფლების უწმინდეს მცნებას
და მუხანათურ ცეცხლში დადაგეს
მასის ძლიერი აღფრთოვანება.

მაგრამ ულეველ ტბას რა დააშრობს?
ან რა ჩააქრობს ვარსკვლავებს ცისას!
მტრის მკერდის ფიცარს კიდევ დაასობს
მტკიცე მარჯვენა ფოლადის ისარს!

და ჯურღმულებში, სად ხნევს დილით
ციხე ამაოდ მოელოდება —
შენი ფიგურა გამოკვეთილი
დგას, როგორც დროშა და მოწოდება!

ვიცი, მზის წვერო ღამეს გადახევს,
გრიგალის ფრთები, გადაჭრის ზღვათა
და გამარჯვების ჰიმნებს დაარხევს
დამმონებელის გათხრილ საფლავთან!

ისე, ვით ლომი გულგახელებით
გალიის კედლებს აწყდება ტორით —
გრგვინავს ფაშიზმი სახრჩობელებით,
ხმლებით, ყუმბარით, თეთრი ტერორით....

სცადოს შეტევა ქვეყანამ ძველმა!
დაძრას ოქროს და ტახტის მონები.
„როტ ფრონტ! ბრძოლისთვის მზადა ვართ, ტელმან"!
გქალმებიან მილიონები!

მიხეილ ჯავახიშვილი

ისევ სალიტერატურო ქართულისათვის

ორიოდე წლის წინათ მაქსიმ გორკის თაოსნობით მძაფრი ლაშქრობა დაიწყო რუსული ენისათვის, რომელსაც პარაზიტული ნაგავი მიეკრო და ჩრდილი დაედო. ამ ლაშქრობის ტალღა ჩვენც მოგვწვდა. ამ მწვავე საკითხს „კომუნისტმა" და სხვა ჟურნალ-გაზეთებმაც რამდენიმე წერილი უძღვნეს. მ. ტოროშელიძემ მწერალთა კავშირში მოხსენება წაიკითხა. ფიცხელმა კამათმა ორ საღამოს გასტანა. შემდეგ დავა კაბინეთებში გადავიდა და თანდათან მინელდა.

ლაშქრობას უქმად არ ჩაუვლია. სალიტერატურო ქართულს მომჯობინება დაეტყო, დავა შენელდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. არც უნდა შესწყდეს, ვინაიდან ბრძოლის შეწყვეტა ენისა და ერის მოდუნებას მოასწავებს.

ძველისძველი ამბავია: ენა მუდამ სდუღს და იცვლება. ყოვლად უდავოა, რომ პრიმიტიული, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური ეპოქები სულ სხვადასხვანაირად ლაპარაკობენ. მაგრამ ცვლილება გარკვეულ კალაპოტში უნდა ჩადგეს და მას ერთგვარი მიჯნა უნდა დაედოს, თორემ მუდმივ ძლიერ დუღილში მოქცეული ენა ანარქისტულ ენად დარჩება და ამ ენაზე მძლავრი სოციალისტური ეროვნულ-სულიერი კულტურა ვერ აშენდება.

ზოგი ხალხის სალიტერატურო ენა ახლაღა იდგამს ფეხს, ქართულმა კი დიდი ხანია, რაც დუღილის უმთავრესი პროცესი დაასრულა და უკვე მე-XII ს-ში ისეთი ბრწყინვალე ნიმუში მოგვცა („ვეფ. ტყ-ნი"), რომელსაც ლექსიკის, სინათლის, მოქნილობის, სიზუსტისა და გამჭვირვალების მხრივ ვერც ერთი ეპოქა ველარ გაუთანასწორდა. ახლანდელ ქართველ მკითხველს კარგად ესმის იაკობ ხუცესის ქართული (მე-5-ს.), გერმანელი კი საშუალო საუკუნეების გერმანულს უცხო ენასავით სწავლობს. ჩვენს პირობებში ეს მოვლენა ჩვენი ენის ჩამორჩენა კი არ არის, არამედ უდიდესი სიკეთეა. ქართული ენაც სხვა ენასავით რომ შეცვლილიყო, ახლანდელი მკითხველი „ვეფ. ტყ-ნს" ველარ წაიკითხავდა. ან ისითივე წამებით წაიკითხავდა, როგორც ახლანდელი ბერძენი კითხულობს „ილიადას". აი რა ფასი ჰქონია თანამიმდევრობისა და ენის ბუნების, ნორმებისა და ლექსიკის ძირითადი მარაგის შენარჩუნებას.

ამისდამიუხედავად, ენა იცვლება მეთქი. მაგრამ საკითხავი ეს არის: რა ცვლილება უნდა შევიწყნაროთ და რა შევინახოთ უცვლელად? სიტყვის შეცვლას შედარებით მცირე მნიშვნელობა აქვს. რუსულ ლექსიკაში 150 ათასი უცხო სიტყვა ურევია, მაგრამ ამის გამო რუსულ ენას ვერც უცხოობას დააბრალებენ და ვერც სიღატაკეს დასწამებენ. იგი უძლიერეს და უმდიდრეს ენად ითვლება. საქმე უმთავრესად ენის ბუნებაა (იგივე ხასიათი), ენის სინტაქსია და ის კანონები, რომელსაც ენის სიცოცხლე და არსებობა ემორჩილება. ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მასთან შედარებით თითქმის არ მოსჩანს ზოგი ულაზღო და უშნო ნეოლოგიზმი, არქაიზმი, კუთხურ - ქარგონული სიტყვაც და ფორმაც, მაგ.-ად: ეხლა-ახლა; მეიტა-მოიტა-მაიტა; ძაან-ძალიან - ძალუმ, და სხ. თუ ენის ბუნება დაგონჯდა და მისი სინტაქსური ფუძე მოიშალა, მას, ამგვარ ენას, ვეღარც ძირფესვიანი რეფორმა და ვერც ლექსიკის გამდიდრება უშველის.

განსვენებული აკად. ნ. მარი სწერდა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა, უფრო მხატვრულათ ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ - დაქსაქსულათ აგვიწერს, და არა ზოგად ცნებებზე მხოლოთ გადაიღებს საჭირო აზრს... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიოურია... ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია თვით უნივერსიტეტში, სადაც ვრცელი, მეტი თუ არ ვსთქვათ, პროგრამაა".

ეს აზრი უცხოელ ენათმეცნიერებსაც გამოუთქვამთ. ქართული ენა „მსოფლიოურია, უფსკრულია". სრული სიმართლეა. მაგრამ ისიც მართალია, რომ მას რაღაც სენი შეეპარა და მკურნალობა ეჭირვება. ლექსიკურად იგი ხუთმეტიოდე წელიწადში ისე გამდიდრდა, რომ უწინ სამიოდე საუკუნეშიც არ გამდიდრებულა. მაგრამ ამავე დროს მას სინათლე, მოქნილობა და სიზუსტე დააკლდა, ფრთები დაუსუსტდა და მუხლებში ქარი შეუდგა. ის თითქო გადაეჩვია ფრენას, ზოგჯერ სირბილიც უძნელდება, ზოგჯერ კი ისე მიიზლაზნება, თითქო უზარმაზარი ლოდი აჰკიდესო. ან როგორ უნდა გაფრინდეს ის ენა, რომელსაც მრავალი ამნაირი კუზი დაადგეს:

„სამუშაოთი (მუშაობით) იღლებიან".

„როგორ მაღალია! როგორ კარგია!" (რა მაღალია! რა კარგია! რა მშვენიერია!).

„მას უძნელდება ახალ წესთან შერიგება" (უძნელდება ახალი წესის შეგუება, შეჩვევა, შეფერება, ათვისება).

„ის სიგიჟემდის შეყვარებულია იმ ქალზე" (მას გაგიჟებით უყვარს ის ქალი).

ვეღარ არჩევენ ერთმანეთში ორ ფორმას: დან და სგან (от-из) და სწერენ: „ბანკისგან (დან) გამოიტანა... ამ საქმისგან (დან) არაფერი გამოვა... მამიდან (სგან) მიიღო ფული... ქალაქისგან (დან) მოუვიდა შვილი".

„დღე ქალაქში ცხოვრობს, ღამე კი სოფელში ჩამოდის" (დღისით — ღამით).

„მაგრამ რაში დამაჯერა მე მან, ეს იყო მისი უვიცობა" (ამის დამწერმა ქართულის უცოდინარობაში დაგვაჯერა. ეს „რაში" და „ეს იყო" ნამდვილი კუზია).

„ხლაფორთიანი საქმე" (დამახინჯებული „хлопотливое дело" უნდა იყოს: საცოდვილო, საჯანჯლო, გახლართული, თავსატეხი, თავსამტვრევი, საოჯიდარაბო და სხ.).

დამკვიდრდა „ნაკლულევანება — უნაკლულევანებო". (საოცარია, ვინ შემოათრია ქართულში ეს ლოდი და რად აიკიდა იგი თითქმის ყველა მწერალმა და ჟურნალისტმაც? ხალხი უბრალოდ ამბობს: ნაკლი — უნაკლო. მას ნაკლი აქვს... ის უნაკლოა).

„გაიცემა წევრებზე" („ვისზე" კი არა, „ვის მიეცემა" — „წევრებს მიეცემათ, დაურიგდებათ).

ზოგჯერ ქართულ საკუთარ სახელსაც კი უცხო ენიდან სესხულობენ და სწერენ: „პიცუნდა (ბიჭვინთა), იორა, ინგური, ქსანკა, ცაგერი". ამაზე მეტად ქართულის დაგონჯება ძნელი წარმოსადგენია.

„დედა-ენას" „მშობლიური ენა" დაარქვეს родина—სამშობლო; родной язык მშობლიური ენა. თუ „დედა" ეხამუშებათ, მათ „დედაქალაქი" და „დედა მიწაც" განდევნონ).

ამ მაგალითმა მეორე მაგალითი გამახსენა. ერთ თარგმნილ წიგნში ვკითხულობ: „დაიწყო გუბერნიამ წერა" (пошла писать губерния). ამის დამწერი ვერ დააჯერეს, რომ ეს აზრი ასე უნდა თარგმნილიყო: ატყდა დავიდარაბა — ორომტრიალი — გაწამაწია. აი სად იმალება სიგონჯის სათავე: აზრის ნაცვლად სიტყვას სთარგმნიან და ასეთ მარგალიტებს გვაწვდიან: დღევანდელი პოლიტიკური მორთულობა" (обстановка); „მეყრობელი მეზობელი" (соседняя держава); „ეს მოვლენა ითქმება (сказывается); „რძის საქონელი" (მეწველი—молочный скот); „მაგიდის ყურძენი" (Столовый—სუფრის, საჭმელი ყურძენი). „მას სიტყვა ეჭირა" (держал речь); „ეს ფაქტი დაორსულებულია) (чревато); „სადგურ გორზე... ხაშურზე... მცხეთაზე" (გორის სადგურში. გორზე—на ст. Гори); „საქონლის ქორწილი" (брак товара); „საქმე ქუდშია" (дело в шляпе).

ამ ხალხს პუშკინის „პოლტავის" თარგმნა რომ დაავალოთ, უეჭველად დასწერენ: „იყო საქმე პოლტავის ქვეშ" (Было дело под Полтавой ხოლო ქართულ ანდაზას — „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი" — უეჭველად ასე გადასთარგმნიან: не села перепелка на дерево, не была ее фамилия.

ცნობილია, რომ ერთმა სემინარიელმა მეორე ანდაზა — „კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირნახირო" — ამგვარადვე სთარგმნა: „Черепаха ногу высунула я тоже табун-табун" ახლა ეს მწყრები ხეზე შესხდნენ, კუმაც ფეხი გამოჰყო და ნახირობას იჩემებენ. გამომცემელიც მწყემსავს მათ. ის იაფ ხალტურას დაეძებს, ბეჭდავს და მახეებს ანკარა წყლის მაგივრად ზოგჯერ ნამდვილ ლაფს აწვდის. ზემოხსენებულ მაგალითებში ზოგი ერთხელ მომხდარა, ზოგი —რამდენჯერმე, და ზოგიც ძალიან ხშირად გვხვდება. ამას მკითხველიც გაარჩევს. ის კი მაინც სათქმელია, რომ ფინაჩების გარდა საუკეთესო მთარგმნელებიც მოგვიპოვება და უკანასკნელ ხანს საერთოდ თარგმანიც მომჯობინდა.

ვაგრძელებ უხეირო ქართულის ნიმუშების სიას. უკვე დამკვიდრდა ასეთი თქმა: „ის სახლშია... სახლში მივდივარ... გუშინ სახლში ვიყავი". ხალხი ერთხმად ამბობს: „ის შინ არის... მე შინ მივდივარ... გუშინ შინ ვიყავი". რუსულიც ცხადად არჩევს ორ ფორმას (я вошол в дом (რომელიმე სახლში შევედი) და я пошол домой, я был дома (შინ წაველი, შინ ვიყავი).

გახშირდა საჩოთირო უცხო თქმა: „რითაც ხასიათდება ის, ეს ის არის, რომ. ." (მას ეს ახასიათებს, და სხ.). „რომის პაპა" (პაპი).

რიცხვის სრულმა შეფარდებამაც მოსჭრა მუხლი ქართულს. სწერენ: „ფეხსაცმელები ლბილებია... პურები ცხელებია... (რბილია, თბილია)... საარის მაღაროები ფრანგებს გადაეცნენ... მაღლები სახლები იდგნენ" „ეს სასირცხო ამბავია" (ეს, მართლაც, სირცხვილია, სამარცხვინოა. „სასირცხო" კი სქესობრივ ასოს ჰქვიან).

„ტოკიოში განაგრძობენ კონფლიქტში ჩაურევლობისა და საერთო გამოსვლაში მონაწილეობის არ მიღების პოზიციაზე დგომას". (ეს აზრი უბრალოდ გამოითქმის: ტოკიოში ისევ იმ აზრისა არიან, რომ საერთო გამოსვლაში არ ჩაერივნენ და... მონაწილეობა არ მიიღონ).

„ეს საქმე არ მიმდინარეობს პარტიის ხაზის გადაუხვევლად დაცვის პირობებში" (ეს საქმე ისე არ მიდის, რომ პარტიის ხაზს არ გადაუხვიონ).

„მოწმეები და მხარეები სახეზე არიან" (стороны и свидетели на лицо. ქართულად: ორივე მხარე და მოწმენი აქ არიან... გამოცხადებულან... მოსულან).

თითქმის ყველგან წააწყდებით წარწერას: „შესავალი" (введение) „გასავალი" (შესასვლელი, გასასვლელი).

„თავში დაშვებული შეცდომა" (თავიდანვე, სათავეშივე).

ელექტრო-ბოძებს აწერია: „სასიკვდილოა!" ესე იგი — ბოძია სასიკვდილო, მოსაკლავი. იტყვიან ხოლმე: „ის სასიკვდილოა... შენ, სასიკვდილევ"! უნდა ეწეროს: „ფრთხილად, მომაკვდინებელია!... ერიდე, მოგკლავს"!

პლაკატზე თვალსაჩინოდ სწერია: „ქურდებს გაუფრთხილდით", ესე იგი: ქურდები კარგად შეინახეთ, არ აწყენინოთ, არა დაუშაოთ რა. უნდა იყოს: ქურდებს ერიდეთ... უფრთხილდით.

ასეთმა სიგონჯემაც სამოქალაქო უფლება მოიპოვა: „ნებართვის გარეშე (ნებადაურთველად)... აღრიცხვის გარეშე მიიღეს (აღურიცხველად)... საქმის გარჩევის გარეშე" (საქმის გაურჩევლად). ეს უკანონო უარყოფითი ნაწილაკი „გარეშეც" (без) გასაგდებია. მან კანონიერი ფორმა განდევნა და ამიტომ დასანდობი არ არის.

„კრებაზე დაესწრო" (კრებას).

„მექრთამე გორიდან... კოლმეურნე ხონიდან" (გორელი, ხონელი).

„მან კარგად იცის მუშა" (ის კარგად იცნობს მუშას)... „ის დაშორებულია მასებიდან" (მასებს)... „მან ვერ გამიგო" — ე. ი. რაიმეს გაგება დავავალე და ვერ გამიგო (უნდა იყოს: მან ჩემი ნათქვამი, ან ნაწერი ვერ გაიგო)... „გაზეთიდან ამოვიკითხე" (გაზეთში)... „ორპიროვნება" (ორპირი, ორგული, ორპირობა)... დაკანონდა „ჩერქვეშ, იატაკქვეშ მუშაობა" (ჩუმი, საიდუმლო, ფარული, კონსპირაცია, არალეგალური)...

ესეც კმარა. გავათავოთ. ყველა სიგონჯე რომ ჩამოვთვალო, ერთი ტომიც არ მეყოფა. ახლა კი ნათლად სჩანს სათავე ქართულის დაგონჯებისა: ქართული სინტაქსი მახინჯდება. სადაც სხვა ენა თანდებულს, ქვემდებარეს და განმარტებით სიტყვებს ხმარობს, ქართველიც იმნაირადვე ალაგებს სიტყვებს და ასევე აშენებს წინადადებას. ამიტომ ვწერდი ზემოთ: **„საქმე უმთავრესად ენის ბუნებაა (ხასიათი), ენის სინტაქსია და ის კანონები, რომელსაც ენის სიცოცხლე და არსებობა ემორჩილება მეთქი"**. ამან ხალხურ ენას დაგვაშორა და კანცელარიული ქართული გაგვიჩინა, სუფთა სასაუბრო ქართული დაკრუნჩხა და მას ნარევი, უშნო კაბინეტური შვილი აშობინა. სწორედ აქ იჩენს თავს უმთავრესი საკითხი: საით ავიღოთ გეზი, სასაუბრო (ცოცხალ - ხალხურისკენ თუ თარგმნილ მწიგნობრულისკენ? არჩევანი სადავოც კი არ არის, ვინაიდან პირველი გზა ახალს აკადემიურ ქართულს დაგვიმყარებს, მეორე კი ახალნაირ ანტონ-კათალიკოსის სტილს შეგვიქმნის.

ზოგნი ენის გამარტივებას დაედევნენ და ის კი ვერ შენიშნეს, რომ მან, გამარტივებამ, უფრო მეტად გაართულა საქმე და სინათლით ქებულ ქართულს ბინდი მიაყენა.

ენის საფუძველი და სიმდიდრის სათავე სინათლე და სიზუსტეა და არა სხვა რამე. ყოველი კულტურული ენა ამ გზით განვითარდა და სხვა გზას ვერც ჩვენ ვიპოვით. მაშ, ცხადია, რომ გამარტივება მხოლოდ საშუალებაა და **მისი შეწყნარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი მიზანს (სინათლეს) ემსახურება.**

მართლწერის ორაზროვნება ნიაღვარივით შემოიჭრა ქართულში, საშუალება (გამარტივება) მიზნად იქცა, ხოლო მიზანი (სინათლე) დაიჩაგრა და თითქმის დავიწყებულ იქნა. ამის გამო ნათელ ქართულს ჩრდილი დააწვა, სიზუსტე შეირყა და გამჭვირვალება დაიბინდა. რამდენიმე მაგალითიც საკმარისია.

თურმეობით მეორეში ნ-ის ხმარება უკანონოდ გამოაცხადეს. „მან კაბა დაეხია (დაეხივნა) მას მიეწერა (ნ) ა... სახლი გაეყიდ (ნ) ა... დედას შვილი დაემალ (ნ)ა". ამოაგდეთ ან ჩაურთეთ ნ და წინადადების აზრი სულ შეიცვლება. ერთ შემთხვევაში დედამ დამალა შვილი (დაემალნა), მეორეში კი — თვითონ შვილი დაემალა დედას.

მეუბნებიან, აზრს კონტექსტის მიხედვით მიხვდებითო. სად გაგონილა, რომ ერთი რომელიმე წინადადების აზრის გახსნა მხოლოდ მეორე წინადადების შეხებით იყოს შესაძლებელი? წარმოვიდგინოთ, რომ მე ჩემს მოთხრობას ასე ვათავებ: „დავითს მტერი დაეხოცა". აგვიხსნან ნ-ის მტრებმა, მტერი თავისთავად დაიხოცა, თუ დავითმა დახოცა? ვერ აგვიხსნიან, ეს დევნილი ნ კი უცებ ფანტავს ბინდს და აზრს სინათლეს აფენს. ამგვარი მაგალითი ასობით არსებობს და ნ-ის განდევნა მხოლოდ წყვდიადს შეიტანს ენაში.

ზოგს ეს ნ ძვალივით გაეხირა ყელში. იგი ზოგ ზმნას ჩამოაშორეს და ზოგს დაუტოვეს. შედეგი ის არის, რომ ენა გამარტივების მაგიერ უარესად გართულდა და ორაზროვნებამაც იმატა (წყალს გავიდ(ნ)ენ, იქ მოვიდ(ნ)ენ, იქ ჩავიდ(ნ)ენ. ბირიბ გასვლა და გადენა, მოსვლა და მოდენა, ჩასვლა და ჩადენა). აი სად შეიძლება უვნებლად გავამარტივოთ ენა. კომისიის უმცირესობა მოითხოვდა, რომ „დნენ" ყველგან დარჩენილიყო (აკეთებდნენ, მოდიოდნენ, დაბერდნენ, დაიმალნენ, იყვნენ, დავიმალნეთ და სხვ.).

ამ საბრალო ნ-ს არც სხვაგან ასვენებენ და ამგვარ სიტყვებიდანაც სდევნიან: გა (ნ) თავისუფლება, გა (ნ) კიცხული, გა (ნ) რისხული, გა (ნ) ტვირთული, გა (ნ) ცხრომილი და სხ. ზოგიერთი გრამატიკოსი ნ-ის ფუნქციას ვერ მიხვედრილა (გაიხსენეთ აგრეთვე დნენ—დენ) და რადგან იგი ლოგიკურ - ფორმალისტურ კატეგორიაში ვერ ჩასტიეს, ამიტომ უადვილეს გზას დაადგნენ და სრული განდევნა მიუსაჯეს. დროა გავიხსენოთ, რომ ფორმალიზმმა თავის თავი მოჭამა და განყენებულმა ლოგიკამ სინამდვილის ლოგიკას უნდა დაუთმოს ადგილი.

ვიმეორებ: უმთავრეს მიზნად ენის სინათლე და სიზუსტე უნდა დავისახოთ მეთქი, ხოლო გამარტივება საშუალებად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როცა იგი მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.

◆

მოდიან ახალგაზრდა პედაგოგები

ტფილისის პედაგოგიურ ტექნიკუმებში სასწავლო წელი დამთავრდა. მსოფლიო მუშათა კლასის უსაყვარლესი ბელადი ამხ. ი. სტალინი თავის ისტორიულ მოხსენებაში პარტიის მე-17 ყრილობაზე ამბობდა: პედაგოგიური და სამედიცინო „ფაკულტეტები" ჩვენში ჯერ კიდევ მივიწყებულია. ეს დიდი ნაკლია და სახელმწიფოს ინტერესების დარღვევას უდრის. ამ ნაკლს აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს. და რაც უფრო ჩქარა გაკეთდება ეს, მით უკეთესია. ამ სიტყვამ უდიდესი გავლენა იქონია პედაგოგიური და სამედიცინო განათლების ფრონტზე. მას შემდეგ საგრძნობლად განმტკიცდა პედაგოგიური ტექნიკუმების მატერიალური ბაზა, გაუმჯობესდა სტუდენტობის მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობები და სწავლის ხარისხი.

წელს მარტო ტფილისი ჩვენს ქვეყანას 360 ახალგაზრდა მასწავლებელს აძლევს. ისინი სრული შეგნებითა და ხალისით წავლენ კულტურული რევოლუციის ფრონტზე საბრძოლველად, რათა გამანადგურებელი იერიში მიიტანონ სიბნელისა და უვიცობის უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგ.

დღეს ტფილისის განათლების მუშაკთა სახლში მოხდება ახალგაზრდა პედაგოგების საზეიმო გამოშვება.

□ □ □

წერილები რედაქციას

სისულელე, რომლითაც ერთობიან

მკითხველი ახლავე დაინახავს, რომ ზოგიერთი სისულელე მართლაც ართობს ადამიანს, თუმცა ის, რაც ერთს ართობს, მეორეს ხშირად ხასიათს უფუჭებს, აღონებს, უარესიც...

თვითონ განსაჯეთ!

მილიციის მე-3 განყოფილებაში (დიდუბე) მოიყვანეს პატიმრები—ტრამვაის მუშა ილია გოგიტაშვილი და მისი ცოლი. პატიმრები, ბუნებრივია, უხერხულად გრძნობდნენ თავს. ხუმრობა ხომ არ არის: მილიციელების თანხლებით გამოგატარონ ქუჩაში გიყურებდეთ ხალხი და ამბობდნენ:

— დაუჭერიათ! ალბათ...

ვინ იცის, რას არ იფიქრებს კაცი!..

მილიციის განყოფილებაში გოგიტაშვილმა მიმოიხედა, თანმხლებ მილიციელთა შორის მდგომ ერთს საეჭვო შესახედაობის კაცს მიაჩერდა, შემდეგ მორიგისაკენ მიბრუნდა და უთხრა:

— ვინ არის ეგ სულელი?

— სწორად გამოგიცვნია.—ღიმილით მიუგო მორიგემ,—ის მართლაც სულელია, თუმცა მილიციის ფორმაში კია გამოწყობილი. სხვათა შორის, ეს ნაძმარი ფორმაა, ძველი... ამ კაცის ვინაობა—ჟორა მანაკაძე. შემოგვეკედლა, ვერ მოვიშორეთ ცოტა რამეშიც გვეხმარება...

პატიმრები გაოცებით უსმენდნენ მორიგეს. მორიგე განაგრძობდა:

— დააქვს უწყებები. შინაურ საქმეებსაც აკეთებს ჩვენი უფროსის მოადგილე ამხ. ცქიტიშვილს ორნახევარი ფუთი ცქვილი გაუყიდა ბაზარზე(!) მართალია, ნახევარ ფასად, მაგრამ ხომ გაყიდა! ცოტა თვითონაც ისარგებლა. ერთი სიტყვით გვეხმარება, რითაც შეუძლია და ლუკმასაც ამ გზით შოულობს.

აქ მორიგემ შესწყვიტა საუბარი და ამ ფორმიან სულელს მიუბრუნდა:

— ჟორიკ! რატომ დააპატიმრე ეს ხალხი?

ჟორიკა წელში გაიმართა (მილიციელის ფორმა ავალებდა!) და მოახსენა:

— გუშინ ამ კაცის ცოლმა შეურაცყოფა მომაყენა; „სულელო, აქედან გაეთრიე, თორემ წყალს გადაგასხამო" ვინაა მაგის სულელი. დღეს მილიციელები წავიყვანე და დავაპატიმრე!

ეს თქვა და შეურაცმყოფელ ქალს ნიშნის მოგებით გადახედა.

მორიგემ გულიანად გადიხარხარა.

— რას უზამ სულელია!—თქვა მან. შემდეგ პატიმრებს მიმართა:

— თქვენ მოქალაქენო, თავისუფალნი ხართ!

გოგიტაშვილი და მისი ცოლი უსიტყვოდ გავიდნენ მილიციის განყოფილებიდან. გულში კი ორივე ფიქრობდა: „აქ მარტო ჟორიკა როდი ყოფილა სულელიო".

კრაზანა

რა ხდება ქუთაისის ცეკავშირის ბაზაში

ქუთაისი. (საკ. კორ.) სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული ბაზა წარმოადგენს საქონლის ბრუნვის ერთგვარ რეგულატორს. მის მოქნილი და კულტურული ხელმძღვანელობაზე დიდად არის დამოკიდებული მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ცეკავშირის ქუთაისის ბაზაში ამ მხრივ ვერა გვაქვს კარგი. სურათი. ბაზის გამგემ (კ. რუხაძე) და ბუხჰალტერიის თანამშრომლებმა დიდი ხანია დაკარგეს პატიოსანი მუშაკების სახელი, ისინი იჩენდნენ უპაირათობას და ანიავებდნენ სახელმწიფო ქონებას.

ამას წინათ გაზ. „სტალინელმა" „კომუნისტის" ბრიგადასთან ერთად. შეამოწმა ბაზის მდგომარეობა და გამოამჟღავნა აღმაშფოთებელი ფაქტები.

ცეკავშირის ბაზის ბუხჰალტერმა კაკაბაძემ თავისი დანაშაულებრივი დაუდევრობით ბაზას მიაყენა 135.000 მანეთის ზარალი. კაკაბაძე უხეშად არღვევდა საკრედიტო დისციპლინას, აწყობდა კომბინაციებს (არ უჩვენა ქუთაისის ფინგანს გასული წლის 440.000 მანეთის მოგება, დაარღვია დისციპლინა და სხვ.).

გაზ. „სტალინელის" 12 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „უპაირათობის და დაუდევრობის აღმაშფოთებელი ფაქტები ქუთაისის ბაზაში". კაკაბაძემ ამ წერილის გამოსვლის შემდეგ დაიწყო მუქარა და განაცხადა: მე ისეთი მაგარი ზურგი მაქვს, რომ ვერავინ ვერაფერს მიზამსო.

ცეკავშირის ბაზაში შექმნილი იყო ოჯახურობა, მიღებულ საქონელს ინაწილებდნენ თითონ ან თავის ძმაბიჭებს ურიგებდნენ, მიზნობრივი საქონელი არადანიშნულებისამებრ ნაწილდებოდა. აი ფაქტიც. ქალაქის კოოპერატივებისათვის საქონლის მიყიდვის გეგმა ბაზამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შეასრულა: რიონჰესის კოოპერატივთან 69 პროცენტით, გუმბრინის კოოპერატივთან 23 პროცენტით. ბარიტის კოოპერატივთან 7 პროც. და ა. შ.

საკითხავია, სად წავიდა მიღებული საქონელი?

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა უკვე მოხსნა სამუშაოდან ბაზის გამგე რუსაძე მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ბუხჰალტერ კაკაბაძისა, საწყობის გამგე სანებლიძისა და სხვებისაგან ბაზის გაწმენდა და მათი პასუხისგებაში მიცემა.

სახლი ინგრევა უგეგმოდ

ორჯონიკიძის რაიონის სახლთა ტრესტმა მიმდინარე წლის დასაწყისში ძლიერ გაახარა ბესიკის ქ. № 45. მცხოვრებნი. ტრესტის სამშენებლო ნაწილის წარმომადგენლებს კუნჭულიც კი არ დაუტოვებიათ სახლში დაუთვალიერებელი, დაწვრილებით აღნიშნეს, რაც კი იყო შესაკეთებელი. კომენდანტმა დაარწმუნა მდგმურები, რომ სახლი კაპიტალური რემონტის გასაკეთებელ სახლთა სიაში არის შეტანილი. ასევე ამშვიდებდა ტრესტის მმართველი ამხ. მამალაძეც მდგმურებს, რომლებიც მას მიმართავდნენ ზოგიერთი გადაუდებელი რემონტის (კიბე, სახურავი და სხვ.) თაობაზე: „დაიცადეთ, კაპიტალური რემონტი დაიწყება. კიბესაც გავაკეთებთ, სახურავსაცო" და სხვ.

გავიდა ნახევარი წელიწადი. ახლა გამოირკვა, რომ სახლს კაპიტალურ რემონტს არ უკეთებენ მაგრამ არც მიმდინარე რემონტის გაკეთებაზე იწუხებს ტრესტში ვინმე თავს სახლი კი ინგრევა. დალპა ეზოში ჩასასვლელი კიბე. ერთი დერეფნის კედელი დამპალია და როდის ჩამოინგრევა არავინ იცის. მეორე დერეფნის ბოძები დალპა და ჩაიწყვა, ლარები დამპალია და წყალი სახურავიდან პირდაპირ კედლებზე ჩამოდის, სახურავს გასდის, ჭერი ჩამოინგრა და სხვ.

ტრესტის მმართველის მოადგილემ ინჟ. ზამთარაძემ, რომელსაც მივმართეთ აუცილებელი რემონტის შესახებ, გვიპასუხა: სახლი კაპიტალური რემონტის გეგმაში არა გვაქვს. მიმდინარე რემონტი კი თვით დამქირავებლებმა უნდა გააკეთონ. ამბობს, რომ კიბეც თვითდამქირავებლებმა უნდა აღადგინონ, სახურავიც და სხვ. (მთელ რემონტზე რამდენიმე ათასი მანეთია საჭირო). თვითდამქირავებლებს მართებულად იჩენენ, რომ ტრესტს სახლი საფუძვლიანად შეეკეთებინა. ინჟ. ზამთარაძე რეცეპტით კი ტრესტი თავიდან იცილებს ყოველგვარ ვალდებულებას სახლისა და მდგმურების მიმართ, გარდა ბინის ქირის დროზე აკრეფის ვალდებულებისა.

ვფიქრობთ, რომ რაიონის საბჭო მიუთითებს სახლთა ტრესტის დაუდევარ ხელმძღვანელებს მათ ვალდებულებებზე.

მ. წულაძე

რატომ ყურადღებას არ აქცევენ

რუსთაველისა და ხუდადოვის ქუჩების კუთხეში (ლენინის რაიონი) პატარა ბაღია. ეს ბაღი ახალი არ არის, მაგრამ დიდხანს იყო უპატრონო. შარშან ლენრაისაბჭომ შემოღობა იგი, დარგო ხეები და ყვავილები. თვალი ხარობდა ამ კოხტა ბაღის მზერით. იქ ისვენებდნენ მუშები, და მათი ბავშვები.

შემოდგომაზე ვიგინდარებმა ღობე შემოაცალეს ბაღს, ლენრაისაბჭომაც თავი მიანება, მას. ბაღს ღორები შეუჩნდნენ და მთლად გაატიალეს. წელს გაზაფხულზე მისი გამწვანებისთვის არ უზრუნვიათ, დათესილ ბალახს ღორებმა ამოსვლაც არ აცალეს. ახლო-მახლო მცხოვრებ მუშებს დასასვენებელი ადგილი არა აქვთ. რაისაბჭო კი ყურადღებას არ აქცევს ამ მდგომარეობას.

ლ. ქოიავა.

გამოუქვეყნებელ წერილების კვალდაკვალ

„ულირსი კოოპერატორები"

„კომუნისტის" რედაქციამ ა.-წლის 20 მაისს ხსენებული სათაურით მიიღო წერილი, რომელიც შეეხებოდა სოფ. კვალითის (ზესტაფონის რაიონი) კოოპერატივის თანამშრომლებს: სანდრო ბირბიჩაძესა და კლიმენტი ხუსკივაძეს. მათ ბრალად ედებოდათ კოოპერატიული ქონების გაფლანგვა.

ჯუღელის რაიპროკურორი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, ს. ბირბიჩაძის და კ. ხუსკივაძის საქმე რაისახამართლოს გადაეცაო.

„გაზეთების იწოდება მოუგვარებელია".

რედაქციაში ამ სათაურით მიღებული წერილის ავტორი ლანჩხუთის რაიონიდან გვაცნობებდა, სადგურ სუფსის გაზეთების დამტარებელი კილასონია სისტემატურად აკლებს გამოწერილ ჟურნალ - გაზეთებს და, რაც მთავარია, დროზე არ აწვდის გაზეთებს ხელისმომწერლებს.

საქ. კავშირგაბმულობის სამმართველო გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. კილასონია მოხსნილია სამუშაოდან.

ბორჯომში აშენდა ა.-კავკასიაში უდიდესი საკურორტო სასტუმრო. სურათზე: სასტუმროს შენობა

○ ○ ○ ○ ○ ○ ○ ○

ა-კ. რკინის გზა სანიმუშოდ მუშაობს

ამიერ-კავკასიის რკინიგზამ ჯერ კიდევ 25 ივნისისათვის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ნავთის პროდუქტთა ჩასხმის და მშრალი ტვირთის დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა. 1 ივლისისათვის გზამ ნახევარი წლის გეგმა ამ სამუშაოთა დარგში შეასრულა 104.97 პროცენტით.

სულ ამ დროისათვის ჩაასხეს 165.067 ცისტერნი ნავთის პროდუქტი და დატვირთეს 183.840 ვაგონი მშრალი ტვირთი ამგვარად, გეგმის გადამეტებით ჩაასხეს 784 ცისტერნი და დატვირთეს 6.417 ვაგონი (ახტ).

□

მინერალური სალებავების ქარხანა ქუთაისში

ადგილობრივი მრეწველობის ტრესტმა ქუთაისში, ბამბის ქუჩაზე, ყოფილ ბამბის ქარხნის შენობაში მოაწყო მინერალური სალებავების ქარხანა. ქარხანას ექნება შემდეგი საამქროები: ნედლეულის გამამდიდრებელი, გაშრობა - დაფქვის, გაცრის, შეფუთვის, გამოწვის (სადაც მადან „ოხრასაგან" ხელოვნურად მიიღება მინერალური სალებავი „მუმია") და ფერადი სალებავების საამქრო. ქარხანასთან ეწყობა აგრეთვე მექანიკური და კასრების შემკეთებელი სახელოსნოები, აგრეთვე ქიმიური ლაბორატორია.

ხარჯთაღრიცხვით ქარხნის მოწყობა ჯდება 800.000 მანეთი. ქარხანა ნაწილობრივ ამუშავდა ივნისში.

ქუთაისის მინერალური სალებავების ქარხნისათვის ნედლ მასალად საჭიროა მადანი „ოხრა", რომელიც საკმაოდ მოიპოვება თვით ქუთაისის რაიონის სოფ. ზანოვაში. (საქ კორ)

საქართველო

★ **ტყვარჩელის** ქვანახშირის მაღაროს მექანიზაციის გამო ქვანახშირის ამოღებამ ივნისის 21 დღის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადააჭარბა მაისში ამოღებულ რაოდენობას.

★ **მდ. ჩოლოქზე** შენდება ახალი 20 მეტრი სიგრძის ხიდი, რომელიც მახარაძის რაიონს დააკავშირებს აჭარისტანთან.

★ **სოხუმის** საკონსერვო ქარხანა წელს მნიშვნელოვნად აფართოვებს თავისი პროდუქციის ასორტიმენტს. ქარხნის კოლექტივმა მიზნად დაისახა მიაწოდოს მომხმარებელს მაღალხარისხოვანი, გემრიელი და იაფი კონსერვი.

★ **ახალციხის** რაიონში უკანასკნელ ათდღიურში ჩამოყალიბდა 4 ახალი კოლმეურნეობა, რომლებშიაც შედის 105 მეურნეობა.

□

მეცნიერება და ტექნიკა

ნიტრამონი

შეერთებულ შტატებში აღმოაჩინეს ახალი ფეთქებადი მასალა — ნიტრამონი. ნიტრამონი თავისი გამანადგურებელი ძალით სჭარბობს ტრინიტროტოლუოლს, მაგრამ სრულიად უსაშიშროა გადაზიდვისა და შენახვის მხრივ. ნიტრამონის დაწვა შეიძლება ცეცხლში და შეიძლება ჩაქუჩი დავარტყათ. იგი ფეთქდება მხოლოდ სპეციალური დინამიტის ვაზნის საშუალებით.

სინთეტიკური ძვირფასი ქვები,

მოსკოვის სპეცდავალებათა ფიზიკურ - ქიმიურ ინსტიტუტში მოახდინეს საინტერესო ცდები სინთეტიკური კორუნდის მისაღებად.

წმინდა კორუნდი გვხვდება ძვირფასი ქვების —ლალისა და საფირონის სახით და წარმოადგენს დაკრისტალებულ ალუმინის ჟანგს, სხვადასხვანაირად შეფერილს მინარევებით (მეტალების ჟანგეულებით).

ეს ქვები ძლიერ ძნელდნობადია. ისინი დნებიან 2200 ტემპერატურით, ძლიერ მაგარი არიან (ყველაზე უფრო მაგარი ალმასის შემდეგ) და ხეხვით ზედაპირი სარკისებური უხდებათ. ძლიერ ფართო მოხმარება აქვს კორუნდს ტექნიკაში — საათის მრეწველობასა და ზუსტ ხელსაწყოთა წარმოებაში.

კორუნდები ჩვენ შემოგვაქვს უცხოეთიდან. კორუნდის სინთეზის (ხელოვნურად დამზადების) ხერხს საზღვარგარეთ მეტად საიდუმლოდ ინახავენ. ინსტიტუტმა ნახევარი წლის მუშაობის შემდეგ მიაღწია ხელოვნური ლალისა და საფირონის მიღებას წონით 100 კარატამდე. საბჭოთა ხელოვნური კორუნდი ხარისხით არ ჩამოუვარდება უცხოეთისას და ბევრით არაფრით განირჩევა ბუნებრივისაგან.

320.000 მანეთი სასკოლო მშენებლობას

ჯუღელის რაიონში წელს სასკოლო მშენებლობაზე დაიხარჯება 320.000 მანეთი. ამ თანხით აიგება 40 ახალი სასკოლო ოთახი. ახალი სკოლები იხსნება კვალითში, სვირსა და ცხრაწყაროში. სრული საშუალო სკოლებისათვის შეიძენენ ისტორიის, გეოგრაფიის, ქიმიის, ფიზიკის და ბუნებისმეტყველების ათ-ათ კაბინეტს. შეძენილი იქნება სრულკომპლექტიანი სახელოსნოები. ამ მიზნით დაიხარჯება 15.000 მანეთი. შეიძენენ აგრეთვე 900 ახალ პარტას, 45 მაგიდას, 162 სკამს, 44 ლუმელს, 55 დაფას, 115 კუბიკურ საჟენ შეშას და სხვ. გათვალისწინებულია 8 დეკორატიული ბაღის გაშენება და 4 დამხმარე მეურნეობის მოწყობა მასწავლებლებისათვის.

რაიონის სკოლების სტაბილური სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად სახლგამს გადაეცა ავანსად 20.000 მანეთი.

ჯუღელის რაიონმა წელს სასწავლო წლისათვის მზადება და სასკოლო მშენებლობა წარმატებით დაამთავრა, რისთვისაც მიიღო ჯილდოდ განსახკომის რესპუბლიკური გარდამავალი დროშა. ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს რაიონის ხელმძღვანელობას, რათა რაიონი წლისაც საუკეთესოდ მომზადებული შეხვდეს ახალ სასწავლო წელს და ხელიდან არ გაუშვას პირველობა.

ივ. მარაქველიძე.

სვანეთში საქ. სამხედრო გზით

ტფილისის თვითმოქმედ ტურისტთა მეცნიერ-მუშაკების ჯგუფმა პროფ. ასპისოვის მეთაურობით. საქ. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებასთან ერთად შეიმუშავა საქართველოს სამხედრო გზით ექსკურსია—ლაშქრობის საინტერესო მარშრუტი.

ჯგუფი საქ. სამხედრო გზით გაემგზავრება ორჯონიკიძეში ყაზბეგის შერჩევით, იქიდან გადავა ქ. ბატალპაშინსკში და მერე დაეშვება სამხრეთით ტებერდამდე (ყარაჩაის ავტ. ოლქი), შემდეგ ტურისტებს მოუხდებათ ხოტუტაუს უღელტეხილის გადასვლა ილუზის ყინვარებით (ყაბარდო — ბალყარია), გადალახავენ რა კიდევ ერთ უღელტეხილს — დონგუზორუნს, ტურისტები ჩაველენ ზემო-სვანეთში (მესტია, ბეჩო). იქიდან ტურისტები ლატფარის უღელტეხილით დაეშვებიან ქვემო-სვანეთს, შემდეგ კიორბელიდან და ქუთაისიდან დაბრუნდებიან ტფილისში.

ამ მოგზაურობას დასჭირდება თვენახევარი. ამ ხნის განმავლობაში ჯგუფი გაივლის 660 კილომეტრს ნაწილობრივ ავტომობილით. მეტწილად კი ფეხით.

ეს ექსკურსია—ლაშქრობა იმართება მხარეთმცოდნეობის განვითარების მიზნით.

□ □

კულტურისა და დასვენების საბავშვო პარკი

30 ივნისს პლეხანოვის პროსპექტზე. № 105, ყოფილ „არტოში" გაიხსნა კულტურისა და დასვენების საბავშვო პარკი. 2 ივლისიდან პარკში მუშაობა დაიწყო ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილების მიერ მოწყობილმა ტექნიკური სადგურმა. სადგურს აქვს ავიამოდელების, სადურგლო, საზეინკლო, ფოტო და რადიოს და საკონსტრუქტოროსამხაზველო განყოფილებები. პარკში გახსნილია საბავშვო სასადილო.

სურათზე: სწავლაში წარჩინებული მე-9 კლასის მოწაფეები კულტურისა და დასვენების საბავშვო პარკში.

ხელოვნება

ალ. გაუკი ტფილისში

საქართველოს ფილარმონიის მოწვევით, ტფილისში ჩამოვიდა სრულიად საკავშირო რადიოკომიტეტის მთავარი დირიჟორი რესპ. დამს. არტ. ალექსანდრე გაუკი.

ა. გაუკი დიდი ხნის განმავლობაში ლენინგრადის ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. უკანასკნელად ის მოსკოვში გადავიდა, სადაც ხელმძღვანელობს რადიოკომიტეტის მუსიკალურ გადაცემებს.

ა. გაუკი ცნობილია, როგორც საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა პროპაგანდისტი. ასეთ მუშაობას ეწევა ის მოსკოვსა და ლენინგრადში. ამ პრინციპით იქნება შედგენილი ტფილისში იმ სიმფონიური კონცერტების პროგრამაც. რომელთა დირიჟორად გამოვა ა. გაუკი.

— ტფილისში მე მესამედ ვარ.— განუცხადა ჩვენს თანამშრომელს საუბარში ა. გაუკმა. უკანასკნელ წლებში აქ ბევრი რამ გაკეთებულა, ქალაქს ვეღარც კი ვცნობ. ჩემი ჩამოსვლის მიზანი მარტო დირიჟორობა როდია. მე განზრახული მაქვს შევისწავლო ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები, რათა შემდეგ შევიტანო ისინი ჩემს რეპერტუარში, როგორც აქ, ტფილისში, ისე მოსკოვსა და ლენინგრადში.

ალ. გაუკის გამოსვლები ფილარმონიის ბაღში (ყოფ. „სტელა") იწყება 6 ივლისს. პირველი კონცერტის პროგრამაში შეტანილია ტანეევის სიმფონია (კომპოზიტორის გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად), გლაზუნოვის საზეიმო უვერტიურა და სუიტა დ. შოსტაკოვიჩის ბალეტიდან.

ახალი სიმფონია

სახალხო არტისტმა კომპ. **დიმიტრი არაყიშვილმა** დასწერა სიმფონია a-moll რომელიც მთლიანად ჯერ არ ყოფილა ტფილისში შესრულებული. პირველად ეს ნაწარმოები შესრულებული იქნება 15 ივლისს სიმფონიურ კონცერტზე, რომლის პროგრამა მთლიანად მიძღვნილია დ. არაყიშვილის ნაწარმოებებისადმი.

სიმფონია a-moll პირველი ქართული ნაწარმოებია ამ დარგში. იგი ხუთ ნაწილად იყოფა. სიმფონიას საფუძვლად უდევს ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება. ეს სიმფონია 1932 წელს შესრულებული იყო ბაქოში, ხოლო 1933 წელს —ხარკოვში, სადაც დიდი წარმატება ხვდა.

სიმფონია დაიჭერს კონცერტის მთელ პირველ განყოფილებას (კონცერტის ეწყობა საქ. ფილარმონიის ბაღში, ყოფ. „სტელა"), მეორე განყოფილების პროგრამაში შეტანილია ნაწყვეტები ოპერიდან „შოთა რუსთაველი". კონცერტზე დირიჟორობს ავტორი.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის მომღერალი **დ. ანდღულაძე**, რომელიც ორკესტრთან ერთად შეასრულებს ურმულს „შოთა რუსთაველიდან".

□

დისპუტი

თეატრალური სეზონის შედეგებზე

7 ივლისს, საღ. 8 საათზე, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექცია მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. № 13) აწყობს დისპუტს „1934-35 წლის თეატრალური სეზონის შედეგებზე". მომხსენებელი ამხ. ვალ. ბოკუჩავა.

დისპუტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან დრამატურგები, მწერლები, კრიტიკოსები, თეატრის ხელმძღვანელები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, პრესის წარმომადგენლები და სხვ. შესვლა თავისუფალია.

□

ტფილისი

✪ **ტფილისის** ჯავზლის პერონზე, ბორჯომის ჩიხის დასაწყისში, კურორტთა მთავარი სამმართველო ხსნის ცნობათა ბიუროს, რომელიც მიაწვდის ცნობებს ექსკურსანტებს და კურორტებზე მიმავალთ.

✪ **აბრეშუმის** საქსოვმა ფაბრიკამ დამკვრელური მუშაობის შედეგად 25 ივნისისათვის 108,5 პროცენტით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. გამოშვებულია 8.610 ათასი მანეთის პროდუქცია.

✪ **4 ივლისს** ღამით ტფილისში ჩამოვიდნენ ვრულეპებით აზხაბად-ტფილისმოსკოვის გადარბენის მონაწილენი, რომლებიც აშხაბადიდან გამოვიდნენ 24 ივნისს. დღეს გადარბენის მონაწილენი ტფილისიდან მიემგზავრებიან ქ. ორჯონიკიძეში.

30 წლის წინათ (1905)

1—6 ივლისი

✪ **ლენინმა** „პროლეტარის" მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა ცნობილი სტატია „მესამე ნაბიჯი უკან".

✪ **მესის** ძთავრობას დანებდა გიორგი პობედონოსეცი", რომელმაც გასცა 67 მეზღვაური.

✪ **„პოტიომკინზე"** აჯანყება გრძელდებოდა.

✪ **კიევში** დემონსტრანტებს და პოლიციას შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები.

✪ **ეკატერინოსლავში** აჯანყებულ მუშებსა და ჯარისკაცებს შორის მოხდა შეტაკება.

✪ **პუტილოვის** ქარხანაში დაიწყო გაფიცვები.

✪ **ბელოსტოკში** გაიფიცნენ ყველა ფაბრიკის და ქარხნის მუშები.

✪ **ფეოდოსიაში,** სადაც იდგა აჯანყებული „პოტიომკინი", გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა.

✪ **გროზნოსა** და ნიკოლაევში დაიწყო საყოველთაო გაფიცვები.

✪ **ტამბოვის** გუბერნიაში, როსტოვის ოლქსა და მარიუპოლის მაზრაში მოხდა გლეხთა დიდი გამოსვლები.

✪ **კურლიანდის** გუბერნიაში გაიფიცა 25 ათასი მოჯამაგირე. ამ გაფიცვას მალე მოჰყვა მათი შეიარაღებული აჯანყებაც.

✪ **მოხდა** შეიარაღებული თავდასხმა ეტაპზე სუჩმასა და ჩიმახლს შუა (განჯის გუბერნია). მოჰკლეს და დაჭრეს რამდენიმე კაცი.

✪ **ტფილისში** 2 ივლისს გამოცხადდა საერთო პოლიტიკური გაფიცვა, მიმართული შავრაზმელთა თარეშის წინააღმდეგ.

✪ **ტფილისში** 6 ივლისს ნამესტნიკის თანაშემწის მონაწილეობით გაიხსნა თავადაზნაურთა თათბირი ერობის შემოღების შესახებ.

✪ **7 ივლისს** ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში გაისროლეს პეტარდები და ხელის ყუმბარები, 8 ივლისს კი დაიწყო დაბალ მოსამსახურეთა გაფიცვა რკინისგზის ხაზზე ტფილისიდან ბათომამდე.

□

შემთხვევები

# **გაუფრთხილებელი ხვლა.** რუსთაველის პროსპ. ავტომანქანა № 68, რომელსაც მართავდა შოფერი ლ. ა. ხერხეულიძე დაეჯახა მოქ. პ. პ. ჯავახის (ელიავას ქ. 15), და მძიმედ დაშავა. შოფერი შეიპყრეს.

# **ქურდის შეპყრობა.** მოქ. ნ. პ. ქავთარაძის ბინაში (ტატიანის ქ. 7) შეპარვის ცდის დროს შეიპყრეს მ. ნ. ჯინორიძე (ბელინსკის ქ. 8). გაჩხრეკისას დაპატიმრებულს აღმოაჩნდა სხვადასხვა გასაღები.

□

„პლაგიატობის წინააღმდეგ"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 10 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ამხ. შ. ქორიძის რეცენზია. განსახკომის კომისიამ განიხილა რეცენზიაში მოყვანილი ბრალდებანი დოც. გრ. გოგიბერიძის წინააღმდეგ და გამოიტანა დადგენილება, საიდანაც ირკვევა, რომ:

1. ნეკრასოვისა და ანუჩინის წიგნებიდან გრ. გოგიბერიძეს სიტყვასიტყვით გადმოწერილი აქვს ავტორების დაუსახელებლად 11 გვერდი თავის წიგნებში: „ადამიანის წარმოშობა" და „დარვინის მოძღვრება და —მარქსიზმი". რეცენზიის ავტორის მიერ ამ მხრივ წამოყენებული ბრალდება სავსებით დადასტურდა.

2. რაც შეეხება რეცენზენტის მოსაზრებას, რომ გრ. გოგიბერიძის წიგნი, „ადამიანის წარმოშობა" პირველიდან თვით მეოთხე გამოცემამდე გადმოწერილია პროფ. ანუჩინის წიგნიდან, სწორი არ აღმოჩნდა.

□

გასწორება

6 ივლისის „კომუნისტის" მეთაურის პირველ სვეტის მეცხრე აბზაცში სწერია: „ხრაგოულის 5 ხახოფლო საბჭოში ხელმეორე აღრიცხვამ გამოააშკარავა, რომ ბევრი მათგანის არასამიწადმოქმედო და ხაზაზრო შემოსავალი ათას მანეთ აღწევს და მაშასადამე უნდა დაიბეგროს". უკანასკნელი სიტყვები: „და მაშასადამე უნდა დაიბეგროს"—დაბეჭდილია შეცდომით.

სახკინმრეწვი

თეატრი მუსიკ-ჰოლი (პლეხ. პრ. 123)

6 და 7 ივლისი

ლეონიდ უტიოსოვის

გამოსათხოვარი გამოსვლა.

8 ივლისს მუსიკ-ჰოლის თეატრის მე-2 პროგრამა.

საბ—ილბ- თის ხახა- ხოვანი

1-ლი ფილიალი (ყოფ. „ტელ")

6 ივლისს, რესპ. სამსახ. ხახ. დირიჟორ

ალექსანდრე გაუკის

პირველი გამოსვლა.

პროგრამაში: ტანეევი, გლაზუნოვი, შოსტაკოვიჩი.

7 ივლისს მ. ნ. ნიჟალსკაიას კონცერტი.

2 ფილიალი, წით. არმ. სახლ. ბაღი

6 ივლისს

მუსიკ-ჰოლის თეატრ. სპექტაკლი

ჯაზი

მუშკლერის და გაგოვის ხელმძღვანელობით.

ოქტომბერი 7, 9, 11

დამკვრელი (სახაფხ. სახამთრო) 6-30, 8 9-30 11

ტემპი (სახაფხ. ზმოვანი 9, 11

რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30 8-30, 10-30

ეთერი (სახაფხ.) 9 10-30

„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30

კომინტერნი საზაფხ. დიდუბეში. 8-30, 10-30.

ლეონიდ უტესოვი, დ. ო ლოვა ხმოვან კომედიაში

მხიარული ახალგაზრდობა

მხატვრ. საზღვარგ. სურათი

ორი მამა ქალიშვილი

დადგმის მე-3 კვირა

ახალი ხმოვანი სურათი პეტრე ვინოგრადოვის კერძო ცხოვრება

ხმოვანი კომედია

სამი ამხანაგი

ბატალოვისა და ჟაროვის მონაწ.

მხატვრული კომედია

ქალა ფუალჯომარდი

საზაფხ —ჯონის პირვ. სიყვარული

საზამთ.— ხმოვანი ფილმი ლიტკა ჟი ხულთა დამპყრობი

მხატვ. ფილმი ფიჭვები შრიალებენ

თანახმად ზემდგომ ორგანოს დადგენილებისა

ხწარმოებს

ორთაჭალის სოფლის კოოპერატივის

ლიკვიდაცია

დაინტერესებულ ორგანიზაციებმა და პირებმა პრეტენზიებით უნდა მიმართონ ლიკვიდკომს ა-წ. ივლისის 15 მდე (ტფილისი, კალინინის ქ. № 54). შემდეგ არავითარი პრეტენზიები განხილული არ იქნება.

880 ლიკვიდკომი.

ექიმი

დ. ლ. თევზაძე

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს „ყელ ხ" და „ყურის" სნეულებაში, ყოველ დღე საღ. 6—7 საათამდე

დ. პონკაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის, სოლოლაკში). ტელ. 3-50-94

6—2 8746

დაკარგულია ცეისის ორი მიკროსკოპი № 194461, 194463. მნახველი მიიღებს ჯილდოს.

მისამართი უნივერსიტეტის ქუჩა—საქ. ზოოტექ-ვეტ. ინსტ-ტი. 8601

დამწუხრებული ცოლი გუგულა, შვილი დომნა, ძმები: აკაკი, არქიპო, ცოლის ძმა ტიხონი, ცოლისდა კატო, დავლოსტი მარო იუწყებიან

კორნელი აკვილახ-ძე წულაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 ივლისს 4 ს. გოგოლევის ქ. № 45. 8805

ორთაჭალის ამხ. ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის გამგეობა ღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე კოლმეურნეობის ძველი წევრის ენერგიული და დაუღალავი მუშაკის

ლადო პავლეს-ძე რუხაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 8804

მაზლის შვილები: არჩილ, ვანო ბაკურაძეები დედით ზინაიდა, მეუღლეები; ანეტა, გოგუცა, შვილებით: თამარა, გრიშა, ტიტიკო, ლადიკო, დეიდაშვილი ნადეჟდა ყიფიანით იუწყებიან

ეკატერინე ბაკურაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათომში 6 ივლისს. 8809

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ანეტა, მარო, თამარა, სიძე ამბერკი და შვილიშვილი ვალიკო გოგიბერიძენი იუწყებიან ძვირფასს.

ბარბარე ილარიონის ასულ

ჯარიაშვილის

გარდაცვალებას, პანაშვიდი დღეს-საღ. 7 საათზე. გამოსვენება 7 ივლისს საღ. 6 ს. ბინიდან ბაქრაძის შესახვევი № 12, ვერის სასაფლაოზე.

დამწუხრებული ცოლი მარო, დედა მატა შვილები: ლენტორო, გიგილო, ნაზიკო მონიავები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

მიხეილ ზაქარიას-ძე მონიავას

დაკარგვას. გამოსვენება 6 ივლისს 4 საათზე სადგურში ოსიპოვის შესახ. 13 დაკრძალვა ხონში. 8800

ორთაჭალის ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის წევრები უახლოესი ამხანაგები: კ. ძაგანია, ი. გაგუა, მ. ნადარეიშვილი, ხ. ლაშხი, ალ. ქაჯაია, ს. გულიაშვილი, მ. უთალიშვილი, მწუხარებით იუწყებიან კოლმეურნეობის ძველი და აქტიური წევრის

ლადო რუხაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 8803

უახლოესი მეგობრები: გ. ბორჩხაძე, ი. ნარსია, დ. ნარსია, გრ. ხატიაშვილი, თ. მეღალიშვილი, გ. ბეჟანოვი, ი. ლალანიძე, ს. კვანტალიანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი ამხანაგის საუკეთესო მეგობრის

ლადო პავლეს-ძე რუხაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 8802

ტფილისის ტყემრეწველობის მუშამოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ინჟინერ-მეტყევე ამხ. ვასო შოშიაშვილის ძმის

იოსებ შოშიაშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 8806

ექიმი

ბერიშვილი

ვენერიული, საშარდესაქესო. სიფილისი და კანის სნეულებანი.

დილით 9–12 ს. და სღ 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"), გასწვრივ. ჩოდრიშვილის (ყოფ. „პლეხანოვის") შესახვევი № 8.

10—7 8070

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი „914"-ის შეშხაპუნება. სქესობ. ივი ხისუსტის მკურნალობა.

ავადმყოფთა მიღებ დილით 10—12-მდე და საღ. მოს 6—8- ან. ს. ნინოშვილის ქუჩა (ყოფ. ალექსანდროვის) № 5 ფაბრიკა „მკერავის" პირდაპირ.

5—4 8302

ექიმი

მ. გ. სეხნიაშვილი

კანი ვენერიული სიფილისი გადავიდა ლიბკნეხტი შესახვევი № 10 (ყოფ. „ურსკია) გრიბოედოვის ქ. № 10-ში

5—8 ს საღ.

ტელ № 3414-6.

ექიმი

ს. ვ. მესხელიშვილი

თვალის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 5—7 საათამდე

კოჯორიის ქ. №

ვამზადებ უმოკლეს ვადაში უმაღლესი სკოლებისათვის მათემატიკაში და რუსულში და ყველა საგნებში ტექნიკუმში. უშუალოდ 6, 7 კლასში შესვლ. ვასწავლი უცოდინრებს და მცირეწლოვ. 3 და 4 თვეს

არითმეტიკას საბუღალტრო კურსებისათვის

მოამზადებს

და მოლარის თანამდებობისათვის

პლეხანოვის ქ. 25 შესავალი ჩერნიშევის ქ. 5. ნახვა 7—1 საათ 3—8 ს

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი"

მახავე სახის. კისრის, ხელების და ტანის მკურნალობა ელექტრონული ვანები და ახალი ელექტრო აპარატები კანის სილამაზის დასაცავად. ძმელაძის ქ. (ყოფ. საპიორნის) 19, იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღ 5 8 დე. შესასვლელი ძმელაძის შესახვევიდან

3—2 8772

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ. 9473